

საბუნბი

ნახ. გ. თოდობ



ეს როგორ ი სკოლაა?

მკითხველებსა და თანამშრომლებს ვსთხოვთ გეაცნობონ თუ რომელ სოფელშია სკოლა ასეთ მდგომარეობაში.

სამაგისტრო მუშაობა (განათლ. განუ. ვაშლები) - რას შეგნები კაცო? ცხვირი არ დაიცივინო, თარვს დაიჭრეა ხეოლის შენობა!



მოწაფეთა წიკრილი ამხ. ბაკონს, სკოლის გამგეობასა და ტანსაცმელ-ფხვსაცმელების ფაბრიკების დირექტორებს

ძია ბარონ!

ტკბილი დაპირებები თქვენგან ბევრჯერ გვსმენია, რომ ჩვენ, მოწაფეები, უზრუნველყოფილი ვიქნებოდით სასწავლო წლის განმავლობაში საჭირო წიგნებით, რვეულებითა და სხვა ნივთებით.

მაგრამ, ძია ბარონ, თქვენ არგად იცით, რომ ეს დაპირება თქვენს მიერ სავესებო ვერ იყო შესრულებული. გასულ წელს ჩვენ გვაკლდა სახელმძღვანელოები, რვეულები, რუქები და წარმოიდგინეთ, სამეღნეც კი.

აი, ამიტომ იყო, და მხოლოდ ამიტომ, რომ ზოგიერთებს „სუსტი“ გამოგვეყვა და გამოცდები უნდა ჩავბაროთ.

ისე ნუ იზამ, ძია ბარონ, რომ ძველ საუკუნეებს მივბაძოთ და ხბოის ტყავებზე ვწეროთ. (ახლა ხომ იცით ხბოებს რა მორიდება აქვთ? ხბოისთვის ტყავის გამძრობს, თითონ „გაძვრება ტყავი“). უნდა უზრუნველგვეყო რვეულებით.

ასე ჩვენი ბარონ.

მზად დაგვახვედრე ყველაფერი.

ამ დღეებში დავიძვრებით აქედან და მოგადგებით სახელგამის კარებზე.

ჩვენი შეხვედრა ასეთი უნდა იყოს:

ჩვენ: — იყავ მზად!

თქვენ: — ყოველთვის მზად ვარ აი ეს იქნება კარგი საქმე და ჩვენც ამისი იმედი გვაქვს.

* * *

წ. შ. კარგს იზამ, რომ ჰკითხავდე თქვენს ნოქრებს: — რატომ მაღაზიებში არ არის რვეულები და ბაზარზე ბლომად იშოვება?

პატივცემულო გამგე!

ჩვენ კარგად დავისვენეთ. კარგად ვართ. გვენატრება სკოლა და მეცადინეობა. ამ დღეებში წამოვალთ, მაგრამ თქვენ თუ ხართ მზად, რომ მიგვიღო?

ჩვენი კატეგორული, მაგრამ მინიმალური მოთხოვნილება ასეთია:

1. შეკეთებული უნდა დაგვხდეს სკოლის შენობა: სახურავი, რომელშიაც წვიმა ჩამოდის და ქოლგებით ვიფარავდით თავს; ფანჯრებში აუცილებლად უნდა ჩაისვას მინები და უნდა შეიღებოს: კედლები, ქერი და იატაკი.

2. საწყობი სავესე უნდა იყოს უფრო, რომ არ დავრჩეთ უშეშოდ ზამთარში. (ხომ გახსოვთ შარშანდელი ამბავი, როცა სიცივისაგან მეცადინეობა აღარ შეგვეძლო).

3. სახელმძღვანელოებისათვის წინასწარი შეკრებილი ფულით შექენილი უნდა დაგვხდეს საჭირო სასწავლო ნივთები.

4. უნდა შეარჩიოთ მასწავლებლები და მოიწვიოთ საკმაო რაოდენობით, რომ არ განმეორდეს შარშანდელი ამბავი, როცა გაკვეთილები გვიცდებოდა.

ჩვენ, სხვადასხვა სკოლის მოწაფეები, რომლებიც ამჟამად ვისვენებთ აგარაკებზე და პიონერთა ბანაკებში, გიგზავნით ამ წერილს ამხ. ნიანგის ხელით და ვსთხოვთ მას დაგვიბეჭდოს მისივე სახელობის ჟურნალში.

ნიანგის ხელით იმითმ გიგზავნით, რომ ჯერ ერთი, ფოსტით გამოგზავნილი თქვენამდე ვერ მოაღწევდა და, მეორედ, ნიანგისაგან უშუალოდ მიღებულ წერილს მეტი ყურადღება მიექცევა თქვენს მიერ.

5. უნდა მოაწყოთ სკოლაში ბუფეტი.


სხვა საკითხებზე შემდეგ მოვილაპარაკოთ, როცა სწავლა დაიწყება.

ჩვენი სკოლა სანიმუშო უნდა ახდეს. ასე მოვილაპარაკეთ აქ მხანაგებმა.

სალამი თქვენ და ჩვენს მასწავლებლებს!

ფეხსაცმელ-ტანსაცმელების ფაბრიკების ამხ. დირექტორებო კარგა ხანია, რომ ჩვენმა მთავრობამ დაადგინა მოსწავლეთათვის ფორმის შემოღება.

ეს ძალიან კარგია. ფორმა ერთმანეთთან კიდევ მეტად დაგვაკავშირებს, დაგვაახლოვებს და დაგვამეგობრებს. გარდა ამისა ერთნაირ ფორმაში მოხულიგნო მოწაფე (სამწუხაროდ ჯერჯერობით კიდევ არიან ასეთები ჩვენს რიგებში) ვერ გაბედავს ხულიგნობას, რადგან ყველა იცნობს მას, თუ რომელი სკოლის მოწაფეა.



ახლა კი რასა ჰგავს ჩვენი ტანსაცმელი? ზოგს რა გვაცვია და ზოგს რა! (თუმცა არც ისეთი ფორმა ვარგა, როგორც ზოგიერთებს ამ ზაფხულზე დაგვირიგეს: ქუდებად მოგვეცეს მილიციელი ქუდი, ხოლო ხალათებად ფერადი ნარმა, რომელიც ყოველდღე იცვლიდა ფერს და ხუნდებოდა).

ჰო-და, ამ საქმეში თქვენ ჯერჯერობით არაფერი გაგიკეთებიათ. ეს საქმე უშუალოდ თქვენ გეხებათ და არა ხრამჰვისის უფროსს.

რამდენჯერ შემოგვივლია თქვენი სავაჭროები, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ვერ გვინახავს ჩვენი სარგო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. — მოზარდთათვის არა გვაქვს! — ასეთი პასუხი გვესმის თქვენი ნოქრებისაგან.

არ ვარგა ასე.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამიერიდან მაინც გამოასწორებთ ამ ნაკლს.

მალე დაიწყება სკოლებში სწავლა.

ახალი სასწავლო წელს ჩვენ ახალ ტანსაცმელ-ფეხსაცმელში მოკაზმული უნდა შევეგებოთ.

მოემზადეთ! ჩვენ მოვდივართ.

წერილის დედანთან შემსწორებელი ისალი

ნარკევი სტრიქონები

ანუ ერთი დამწყები „გენიოსის“ სიმღერა

1. ვინ ვარ, ვერ მიცნაით?
— ვქუხვარ პოეზიით,
ზრახვა მტრებისანი
ველარ მომესია,
მიყვარს, ო, ეს ია,
მიყვარს პოეზია.

2. ვინ ვარ, თვით არ ვიცი,
ზეკაცი ვარ მართლა,
ეპოქას განვიციდი,
ალბათ ვმღერი მართალს:
— ჩვენ უნივერსალში
ხალხს აძლევენ ფართალს,
და იქ რიგში დგომა
მრავალს წელში მართავს.

3. მე ვარ დიდი შემომქმედი,
ვქუხ და ვგუგუნებ,
ველარ მათასებს
ეს საუკუნე,
დაგემღურები
შენ საუკუნოდ,
თუ არ მაკოცე,
ჩემო ლამაზო.
მალე გაგაცნობ
ჩემს პოეზიას,
შემოგესია

ჩემზე ფიქრები...
— უკეთესია—
ჩემი იქნები!

4. ჯერ კი მარტო ვარ,
როგორც ბუღბუღი,
უნისკარტო ვარ
არ მაქვს ბუღბუღი;
მაინც ვიმღერი,
როგორც გუგუღი!

5. ლექსი მე ჯერ არ დამისტამბია,
ჩემი ლექსები მაინც დარბიან.
მიყვარს თარეში
რითმებით ლექსში,
ლამაზ მხარეში
მკლავს შენი ეშხი!

6. — ქალო მკერდი გაქვს
ბროლოდ ნათალი,
შემიყვარდები,
გითხრა მართალი!

7. ერთი ვარ, მაგრამ
ვჯობნი ათასებს,
თავდაღებისთვის
არვინ მათასებს!...

შუშურა.

გჯოგნის გჯოგნი

ნაბ. მარიაშინ

ეროვნული
ზიგლოტიკა



— კაცო, ეგ კანკები როგორ შვილდის-
ებურად მოგიღუნავს! შენც მყინვარის
წვერზე ზარბაზანი ხომ არ ავიტანია, რო-
გორც ჩვენი ქართული დივიზიის ნაწილებმა
ქნეს?!

— არა; ახალად გახსნილ უნივერსალის
კიბებზე ავედი;— ნაკლებია თუ?!

ტყის მეგობარი

ნაბ. ზ. ლომიძის



— ელბიტეს სახელის ამოჭრას კიდევ მოვასწრებ სანამ ხე განმებოდეს.

გატეხილი თავი

აუარაკზე მან გაგზავნა
შვილები და ცოლი,
თვითონ დარჩა ტფილისში და
ნახა „გულის ტოლი“.

ცოლს მიწერა: „ვერ მოვდივარ, —
საქმე აღარ მიშვებს,
მოუარე პაწა ბიჭებს,
გულს ნუ მისცემ იჭვებს“.

„გულის ტოლს“ კი არწმუნებდა:
აჯერებდა ფიციით:
„სიყვარული შენი მდაგავს; —
რა ეჭა, აღარ ვიცი.“

არც ცოლი მყავს, არცა სატრფო,
გულის ტოლი მინდა,
შენ ხარ ჩემი სიხარული,
მშვენიერო მილდა!

ნუ გამწირავ, თუ განზრახვა
მქონდეს შენთვის ავი —
ჰა, კეტი! და შენი ხელით
გამიტეხე თავი!

მწიფობისთვის ქარი ჩადგა;
ნიავე ქრის ღილის
ელმავალი მოგუგნე
მოადგება ტფილისს.

გამოდან ვაგონიდან
მერი, გივი, დავით.
კოწი ცოლშვილს ეგებება
გატეხილი თავით.

რამა

15/1 49
981



— წავიდეთ შინ, დავისვენოთ; მეტი აღარ შემიძლია: მთელი საათია, რაც დასვენების პარკში შემოვედი.

გაცრუებული იმედი

საკონკურსო გამოცდებზე მოსული ახალგაზრდები უმალეს სკოლის დერეფანში საგამოცდო ოთახების კარებთან დაჯგუფებულიყვნენ და თავიანთ როგს უცდიდნენ გამოცდაზე შესასვლელად.

აქვე იყო გივი ჩურჩხელაშვილი რაიონიდან ჩამოსულ მამასთან ერთად.

იმ ოთახიდან, სადაც გამოცდა მათემატიკურ საგნებში მიმდინარეობდა ერთი სათვალეებიანი შუახნის კაცი გამოვიდა.

— ეს არის ჩვენი გამომცდელი.

— მათემატიკაში გვცდის.

— სხვებთან შედარებით ეს უფრო გულცეთილი კაცია. ნეტა მავსთან მოგვხვდებოდე... — ჩაილაპარაკეს აქეთ-იქედან.

სათვალეებიანს მაშინვე ვიღაც ჭალარა ჩოხოსანი მიეგება: ეს ჭალარა გივი ჩურჩხელაშვილის მამა იყო.

— მოვიყვანე ჩემი შვილი. აბა, შენ იცი, სათვალეებიანმა იმედის ნიშნად თავი

დაუქნია და ხმის ამოუღებლად შევიდა მეორე ოთახში, სადაც გამოცდებს აწარმოებენ, ქართულ ენაში.

სათვალეებიანი გამომცდელ კომისიის წევრებთან მივიდა და ერთ ერთ მათგანს, რომელიც შუაში იჯდა, — გვარად ლავროსიძეს დაბალი ხმით ჩასჩურჩულა.

— „ჩურჩხელაშვილი“.

ორი წუთის შემდეგ ლავროსიძესთან ორი გამოსაცდელი ახალგაზრდა შემოვიდა.

— თქვენი გვარი? — კითხა ლავროსიძემ ერთ მათგანს.

— ჩურჩხელაშვილი.

— თქვენი? — კითხვა მეორეს.

— ჩურჩხელაშვილი.

— სახელი მაინც ჩემეწერა! რა ვიცი, რომელზე მითხრა.. — გაიფიქრა ლავროსიძემ და მიუხედავად ერთგვარი უხერხულობისა, რომელიც მან მათი გამოცდების წუთებში განიცადა, ჩურჩხელაშვილებს ორ-ორ

კუდიანი სამიანები ჩაუჩურჩხელა და უკა გამოუშვა.

— ოთხასი ადგილია და შემსულელი ოთხი ათასზე მეტია. — ბასობდნ დერეფანში.

— აბა, აბა! ათ კაცში ერთ კაცს მივიწევს გამოცდების ჩაბარება. დანარჩენნი კი ქექონ ნაცარი გაის ამ დრომდი, წარმოსქვა გივი ჩურჩხელაშვილმა და გამოცდა შესავალ კარებთან შეჯგუფებულ ახალგაზრდებს ამყად გადახედა, თითქოს ეუბნობოდა: „თქვენ იკითხეთ, თორემ, მე ისე მა საკმე გაჭახრავებული, რომ წინდაწინვე ცი: ერთ ათეულიდან ერთ-ერთი მიღებულე ვიქნებიო“.

— ჯერ არ შესულხარ? — შეეკითხა მი გივის და განზე გაიყოლა.

— არა, აწი ვაპირებ.
ამ ლაპარაკში საგამოცდო ოთახში ახალგაზრდების ახალი ჯგუფი შევიდა. გივი მისდაუნებურად დროებით ისევ გარეთ და



სით მოსულ სიყვარული

(გადმოკეთებულია ლეჩხაულის ოვალის მოთხრობიდან)

„რეზილი იმედი“ დასასრული.

უკეთ რომ ვთქვა, დატოვეს გამოცდაზე სვლელ განსაზღვრულ რიცხვის შევსება.

— რა გვარი ხართ? — შეეკითხა ლავიძე ისევე ერთ ახალგაზრდას.

— ჩურჩხელაშვილი.

ლავროსიძე ამიერიხა.

სუსტმა პასუხმა კიდევ უფრო გააღვივა რხულობა, მიუხედავად ამისა, სათვამიან მათემატიკოსის ცნობილ გასტრო-

შემდეგ, მესამე ჩურჩხელაშვილის გასტრო-იდ ორკუდიანი სამით დამთავრდა.

კოტა ხნის შემდეგ გამოცდაზე ისევ ახა-ჯგუფი შევედა და მათში გვიც ერია;

იგი, რომელიც მამა მისის ერთ ძველ ობ და თვით გვიცათვის უცნობ მას-

უბლის დახმარებით დარწმუნებული რომ ლელოს გაიტანდა და ფორმუ-

„ათში ერთს მოგვიღებენ“, — რომელ-ამხანაგების გულისგასახეთქად და თავის საჩინად უკანასკნელ ხუთი დღის გან-

ობაში წამ და უწყუმ იმეორებდა, — საქ-ოდ გაამართლებდა.

— რა გვარი ხართ? — შეეკითხა მას როსიძე.

— ჩურჩხელაშვილი!

ლავროსიძის სახეზე აღშფოთება აღიბეჭ-ეს გრძნობა გივის უვიცი-პასუხით ჩვეუ-

რივ, კიდევ უფრო გაიზარდა. ლავროსი-აღშფოთებდა ისიც, რომ ჩურჩხელაშვი-

ის სიმრავლის გამო მას ანგარიში აერია ვერ გამოარკვია, თუ რომელ მათგანის

ხეზ თხოვა დახმარება მისმა მეგობარმა ემატიკოსმა პეტრე ცისკარაძემ, რომე-

თვით ლავროსიძისაც ცხადია „საქი-კაცი იყო, სინამდვილის გამოსარკვევად როსიძემ ბოლოს ერთგვარ საშუალებას

რთა:

— ცისკარიძეს იცნობთ? — შეეკითხა ის ეფულ გივი ჩურჩხელაშვილს.

— როგორ არა! მეთორმეტე საუკუნეში ერობდა!

ჩურჩხელაშვილის გვართან ჩურჩხელასე-ი ორიანი შემოდგომის ჩურჩხელასავით ართა.

სანი

„დავიჩანე მოლოდინში აღარ ძალმიძს მეტი, მიშა, არასოდეს არ გვატლიან სულ მწერ-მოვალ, არა გიშავს.

კოლექტივში გოგოები დამცინიან: ჰა, ნახეო, შენი მიშა ქალაქს შერჩა, შენ კი მის ჯავრს გადაწყეო.

თუ მოსულხარ სამაისოდ, მიგულბდე მაშინ შენად, თუ არა, და არ იფიქრო შემდეგ ჩემთან გამოჩენა.

დამივიწყე. შენ ხომ იცი ჩემი მტკიცე ხასიათი, ვიტყვი, მორჩა. წერილები მწერე მერე დღეში ათი.

გკოცნი მრავალს, ჯერ იმედი არ მაქვს კიდევ დაკარგული. ჯერ კვლავ შენი სიყვარულით სავსე არის ჩემი გული“.

უხარია ჭაბუკ მიშას სიხარულით არის სავსე, რომ ჰყავს სატროფო და ის სატროფო ელოდება, მას აფასებს.

ბარათს გულზე იხუტებს და კვლავ კითხულობს მესაქვერ. სწერს: „თამრიკო ვფიცავ არვინ მყვარებია მე ასე ჯერ.

მართალია, ვერ მოვედი მოგატყუე ბევრჯერ, მარა გულმა ჩემმა საბუდამოთ მხოლოდ ერთი შეგიყვარა.

ამ ბარათმა ჯავრი შემართო გამახელა, გამაცეცხლა მამატიე, სამაისოდ უსათუოდ მოვალ ეხლა!

გოგოების ჯიბრზე იმ დღეს მოვაწეროთ „ხაქსში“. ხელი, ბედნიერ წუთს მე ისევე ველოდები, შენ რომ ელი“.

დასწერა და გაუგზავნა საპასუხო მიშამ სატროფოს, წერილი კი გულზე დააქვს (ვინ არ იცის, გულს გაათბობს).

სწავლობს მიშა გულმოდგინეთ, სწავლობს მიშა დღე და ღამე. იცის მიშამ; კარგი სწავლით კოლექტივს და თავს აამებს.

კოლექტივმა ის ქალაქში მიავლინა ვით დამკვრელი და ტენიკა დაუფლებულს დაბრუნებულს ახლა ელის.

დღე და დარჩა. გამოცდები ჩააბარა ფრიალებზე. გააკვირვა თავის ცოდნით დამსწრეები გამოცდებზე.

წარჩინებულს სახლში წასვლა უხარიათ დღეს ორმაგად: სატროფოც ელის და საქმესაც დაადგება თავს ქომაგად.

მას უფროსმა დაუძახა და ბოდიშის მოხდით უთხრა: უნდა დარჩე, ჩემო მიშა, უნდა დარჩე თუ კაცი ხარ.

დამკვრელი ხარ, ხვალ საღამოს სახეიმო არის კრება. შენ სიტყვა თქვი. ჯერ აღრეა, შეგიძლია მოფიქრება.

არა უთქვამს. მოიხარა თავის გულში ბოდმა, სევდა დარჩა. მისცეს დავალება, უკან ხომ არ დაიხევდა.

ზეიმია, ყველა ხარობს. საქმე ხდება გასაკვირი. დაღვრემილი დადის მიშა; ცრემლი არ სდის, თორემ ტირის.

ამხანაგებს არა ესმით, ამხანაგებს უკვირთ ძლიერ. გაუცინეს, გაეხუმრენ, მაგრამ ბოდმა ვერგზით ძლიეს

ჩააცივდნენ, მაშინ მიშამ მათ წერილი გაუწოდა. წაიკითხეს: კაცის ცოდვით ქვა გულიც კი დაიწოდა.

მაგრამ ან იმ მეგობრებმა, ან უფროსმა რა იცოდა, რომ ჭაბუკი კაცის გულში ცეცხლი ცეცხლთან თუ იბრძოდა.

რა უშველონ?, გვიან ღაა მაისია ხვალ პირველი. რომც წავიდეს, ვერ მოასწრებს. იქ კი, იქ კი, სატროფო ელის.


ფიქრს, ფიქრს მეგობრებმა, მაგრამ ვერა მოისაზრეს. მიაკითხეს ბოლოს უფროსს და საკითხი მასთან აღძრეს.

რა გეგმები დააღაგეს, საიდუმლოდ დარჩა მათში. გამობრუნდნენ უფროსიდან კი მხიარულ მასლაათში.


ჩინებული გააკეთა მიშამ იმ დღეს მოხსენება. (თუ კი კაცი მოინდომებს უძლეველი რა იქნება).

კოტა სევდაც გაუქვერდა, ხასიათიც მოუბრუნდა: — თამრომ იცის დავალებას შესრულება როგორც უნდა.

ნახ. კ. კვალთაშვილის



წყნეთის გზაზე... დასვენების დღეს...




მომხმარებლები (მოხალტურე დამკვერელებს — ხმას აყოლებენ):
პარასულმა, მოიტანა ნავები პარასულმა მოიყვანა ტურები
რად დაგვიხვით თავზე, როგორც ყვავება მაგ ხალტურამ გაგვიქვია ყურები
პარასული თუ არ დგება, ჩერდება, —
თქვენ გაჩერდით, შეგვისრულეთ ვცდრება!

რა დროს რა და როგორ იყო
მოვუყვები დაწვრილებით,
მაპატიებს ამ ერთ დღესაც
მელოდება რაკი წლები.
მოემზადა, დააპირა
მყის სადგურზე წასვლა, მარა,
ფურთხი ეშმაკს, ის სასწრაფოდ
კვლავ უფროსმა დაიბარა:
უთხრა ერთხელ გვასახელო
შენებურად, უნდა მიშა;
ერთხელ კიდევ დავალებით
საპატიო ვეზე გნიშნავთ.
პარასულის ხელოვნებას
შენ ეუფლე წარმატებით.
პირველ მაისს, პარასულთ
სხვებთან ერთად გადახტები.
შენ გაფრინდე უნდა დილით,
პა ბარათი, დაიხსომე,
რომ გადახტე ძირს განსენი,
ხტომა ზუსტად გამოზომე.
ბოლშევიკის დავალება
მუდამ რჩება დავალებად.
გულმა სძლიოს დისციპლინას
გულს ვინ მისცემს ამ უფლებას.
— ჰე თამრიკო, განახავ, გეტყვი
მაპატიებ, თუ გამიგებ.
თუ არა და... ამ წესს ჩვეულს
მაინც ვერვინ გადამივდებს

თქვა ეს მიშამ, დაჯდა მყისვე
გაუგზავნა სატრფოს ცნობა.
სტრიქონებში ჩააქსოვა
სიყვარულის, ტრფობის გრძნობა.
მიჰქრის, მიჰქრის თვითმფრინავი
დილის სხივებს ხედება ცაში.
დანავარდობს, დაყვინთაობს.
უსასრულო ეთერ-ზღვაში.
მიშა შიგ ზის. პარასულთ
უკეთია მხარზე მიშას,
ის მზად არის ჩასახტომად,
ის პილოტის ელის ნიშანს.
თითქოს ნაცნობს ადვილს ხედავს,
თითქოს სადღაც უნახია...
თვითმფრინავი ცას ებჯინა.
გადახტო უძახიან.
გამოვიდა მიშა ფრთაზე:
— მოემზადე! ერთი... ორი!
ისკუბა და ქრება სივრცე
ცის და მიწის განმაშორი,
გაიშალა პარასულთი.
ხედავს მაში მორბის ხალხი
— გაუმარჯოს პირველ მაისს! —
ჰაერშივე გაიძახის.
ძირს ეშვება არ უჯერის
ის საკუთარ თავის თვალებს:
ეს ხომ მისი სოფელია,
დაკვირვებით კვლავ თვალს ავლებს.

აგერ არჩევს მეზობლებსაც,
აგერ მორბის მისი თამროც.
(ვინ არ იცის რა გრძნობებით
აიხსება გული ამ დროს).
მიშაც იცნეს სოფლებებმა,
ჰაერშივე აიტაცეს,
და ყოფინა გამარჯვების,
გამარჯვების ვაშა დასცეს.
მოეხვია მიშა თამროს,
თამრო მიშას მოეხვია.
და გოგოებს გადასძახა:
ერთგულებაც ამას ჰქვია.
მოაგონდა მიშას უცბად
ბედნიერს და გახარებულს,
შესრულება რომ სჭირია
დავლებას დაბარებულს.
და ბარათი წაიკითხა.
მერე თამროს მიაწოდა
(თითონ ხალხი გააკვირვა:
ვით ბატკანი ისე ხტოდა).
უფროსს მოკლედ დაეწერა:
„მოგილოცათ პირველ მაისს
შენ და თამროს შეუღლებას!
ან ვაჟს ან ქალს ამ დროს გაიხს!
სოფელს იმ დღეს დიდი ჰქონდა
სიამაყე, სიხარული.
გოგოებს კი საოცნებო:
ციო მოსული სიყვარული. ხოშიპ



„ტრანსკავშირმა“ შორს გაგვრიცა,
ვერ ვიშოვნეთ იქ ბილეთი.
როცა მივალთ იქ მუდამ ღვას,
ტფილისი და სხვა მიღეთი.

კოჯრის გზაზე მოვიჩქარით,
რომ ვიშოვნოთ ჩვენ „ხალხურა“
და როცა თქვენ დავინახავთ
შემოგდებით: — ვაშა, ურა!

ჩაგვიქროლებთ და დაგვტოვებთ,
გულს ეღება სევდა, დარდი,
მოსახვევში გააჩერებთ,
ის ჯდება ვინც არის მარდა



ოლიფანტე ვატიკოშვილმა თავისი მეგობრების და ოჯახის წევრების წინაშე საქვეყნოდ და საზეიმოდ დაიფიცა, რომ ის ხვალის, ესე იგი, საათის ისრის თორმეტის ხაზთან მიბჯენის შემდეგ წვეთი ღვინის დამღვევი აღარ არის.

მშვიდობით ოცდაათი წლის თამალობა! მშვიდობით მამა ბაბურო რა ლიტრანია ყანწებო, ვერცხლით მოჰყვდილო თასებო, მხედროული სტილით მოკვეთილი წარწერით: „შასვი—გაამოს“.

მშვიდობით გაკორტებულ ბანკირს ცხვირით ვაგრძელებულ სადღეგრძელოებო, სახსე ჭიჭების ჭახუნო და „ალავერდი“-ს— „ახშოლოს“ ძახილო! დღეს შემდეგ ოლიფანტე ვატიკოშვილი სამუდამოდ დაიფიცებს თქვენი სახელის ხსენებას, დღეს შემდეგ, როდესაც ზევით—დასახელებულ საგნებზე შეიქნება ლაპარაკი, ოლიფანტე ვატიკოშვილი ძველ პასიონიდან გამოსულ პატარა გოგონასავით იკითხავს:

- „რა არის მამა?“
- „რას ჰქვია ყანწი?“
- „ვინ არის ალავერდი?“
- „რას ეწოდება სადღეგრძელო?“
- თუ სადმე დაინახავს სუფრაზე შემომსხდარ კრებულს, ღვინით სავსე ჭიჭებით ხელში, გაკვირვებული ტონით შესძახებს:
- „რა სითხე ასხია მაგ ჭიჭებში ნეგობრებო?“
- „ღვინოს რას ეძახით?“
- „განა ღვინო სასმელია?! ვერ დაფიქვრებ?!“
- „რაო? ნიკო მთვრალი ნახეს?! რას ჰქვია დათრობა? არ მესმის! ამიხსენით?“

დღეს შემდეგ ის ახლო აღარ გაიკარებს მის სიყრმის მეგობარს—მეთოდი სარკველადეს, რომელმაც ბავშობიდანვე დაგეზა ოლიფანტე ვატიკოშვილი ლოთი-ფოთობაში.

მშვიდობით ძაშო მეთოდე! ამიერიდან ოლიფანტეს კარები შენთვის სამუდამოდ დახურულია! ოლიფანტემ მტკიცედ გადასწყვიტა, რომ დღეს შემდეგ მას დამთვრალს ვეღარ იხილავთ, რომ ამიერიდან იგი მტკიცედ მოკიდებს ხელს ოჯახში მუშაობას, ხელიდან ის ღვინის სმის ნაცვლად გაზეთს გამოიწერს და გადაბმულ ჭეიფს, რადიო, პატრონი და სხვა სახის კულტურული გართობა შეცვლის.

რა იყო ოლიფანტეს ამ მოულოდნელ გადაწყვეტილების მიზეზი? ამ გონიერ და საესებით მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიზეზი არ ყოფილა ის, რომ სარკველადემ უკანასკნელ დროს ვატიკოშვილს რამდენჯერმე სუფრაზე „კისერი მოსტება“. თამადათ არჩეულ ოლიფანტეს ღვინოში აჯობა; ოლიფანტე მაგიდაზე ჩამოაძინა და თვითონ კი მისი თამადაობა გააგრძელა.

ამ გადაწყვეტილების მიზეზი არ ყოფილა ის, რომ ოლიფანტეს წარსულ წელს შრომა დღეები მეტის მეტად მცირე აღმოაჩნდა და მას კოლმეურნეთა საერთო კრებაზე უკანასკნელი ვაფრთხილება მისცეს.

ამ გადაწყვეტილების მიზეზი არც ის ყო-

ფილა, რომ ოლიფანტეს მიერ ღვინისათვის აღებული ვალმა გასტუმრების ვალს ექვსი თვით გადააცილა.

ამ გადაწყვეტილების ნამდვილი მიზეზი ერთი მოულოდნელი ექსკურსია იყო, რომელსაც ოლიფანტეს უფროსმა ვაჟმა „საიქიოს ექსკურსია“ უწოდა. ოლიფანტეს „შეხვედრობა საიქიოში“ ღვინით დათრობამ გამოიწვია, ოლიფანტე გადაბმული ჭეიფის დროს გაცვივდა და მძიმე ავად გახდა. მისი გადარჩენა მართლაც საეჭვო შეიქნა.

ექიმებმა ფილტვების ანთების მძიმე ფორმით დაავადების გამო, ოლიფანტეს დიაგნოზი დაიგნოზზე დააყარეს.

ავადმყოფს ფილტვების ანთებასთან ერთად პარტახტიანი ტიფის, ტვინის ანთების, კუჭის ტიფილის, ბრონხიტის, ჭაჭების ტიფილის, მუცლის ტიფის და თიაქრის ნიშნები „აღმოაჩნდა“.

ოლიფანტე ანთებას გადარჩა, მაგრამ მისმა მოულოდნელმა გადარჩენამ და ექიმების აღმოჩენებმა ავადმყოფზე მოახდინეს უალერესათ დადებითი გავლენა იმ მხრივ, რომ ოლიფანტემ გადასწყვიტა ამიერიდან საათის ისრის თორმეტიდან მიბჯენის შემდეგ წვეთი ღვინო აღარ დალიოს.

მაგრამ, რატომ მაინც და მაინც შუა ღამის დაღვომის შემდეგ, იღებს ოლიფანტე ხელს თვის საბედისწერო ჩვეულებაზე, და არა თვით გადაწყვეტილების მიღების წუთიდან?

ოლიფანტე ხომ არ მელაყუდობს! ხერხელს ხომ არ იტოვებს?

სალამო დროა, ალთქმულ ვადამდე ჯერ ვიდევ საში საათია დარჩენილი. ოლიფანტე აივანზე ზის, და მდინარის ვალმა მაღალი

მთის კლდეებზე გაშენებულ ხაფიზს ვაყურებს, აგერ სოფელი უკვე სუფთად სწორეთ ის აღვილი, სადაც მეთოდემ ოლიფანტეს ღვინოში „კისერი მოსტება“ და რჩეული თამადა საქვეყნოდ მაგიდაზე დააძინა.

— ჩამივარდეს ერთი ხელში და მე ვ... — ფუფუშაკს, ალთქმა დაშავიწყდა! — გაივლო გულმ უცებ ოლიფანტემ, და ოთახში შევიდა. ადროს შორიდან ვილაყის სიმღერა მოისმია:

„ეო, მეო,
დელო რანინეო,
ვინო ამ ლაშენ დამპატიყებს
მისი ჭირიმეო“.

შორეული ღლიბი, მალე ოლიფანტე ეზოს ჭიშკარით მრახლოებულმა შექვიფულ მეთოდეს სიმღერამ შესცვალა.

„მრავალ ყამიერს ვეძებდი-იი-ი...
ვერ ვნახე დაკარგულიყო-ო-ო-ო...
ოლიფანტესთან მივედი,
ბოთლებში ჩამალული-ი-იყო-ო“

— ცოტა შეუყუაპავს. ახლა მაქვს დრო...
— გაიფიქრა ოლიფანტემ, და სტუმარს მიეგება.

მალე მოქიფეფებს, ფილიბე შალვა და ტარასიც მოემატა.


— როცა თენდებოდა, შექვიფებულმა მეზობლებმა სახე გადაჭარბებულ თამადა ირონიულ ტონით წინაღობით დადებულ ალთქმა მოაგონეს.

ოლიფანტე ალიპობდა, თავის მართლებს დაიწყა.


— შუალამის შემდეგ ხომ არ დამიწყია შუალამემდე დავიწყე! რომ იკრიჭებით, რას იკრიჭებით! რაშია საქმე ბატონებო!... სიტყვა გაეტებე თუ?!

მეღუჯა.

ორი აგარაკი ნაზ. კანდელაკის



— გაიფე კაცო? მინა აგარაკზე ყოფილა და ერთ თვეში ხუთი კილო მოუმატნია!
— უხ რას ვიკვირბ, ჩვენი ნოქარი ორი კვირაა რაც კოოპერატივში მუშაობს და უხვე რვა კილო მოიმატა!




ბრალდებული წებოშვილი გაჭურდვის მიზნით ღამით შეიპარა მოქ. ლიადის ბინაში. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ბრალდებული ოთახში შეიპარა ფანჯრიდან, რომელიც მოქ. ლიადეს ღიად ჰქონდა დატოვებული ჰაერის გასაწმენდად. ბოროტმოქმედი ოთახში შესვლისთანავე ფეხბურთით მივიდა მძინარე ლიადესთან და ახლოდან დააყურადა—სძინავდა თუ არა მას. დარწმუნდა რა, რომ ლიადეს მაკრად ეძინა, წებოშვილი შეუღდა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანას: გახვია კოსტუმი, პალტო და გასარეცხად შეკრული თეთრეულიც კი აიკიდა ზურგზე წასაღებად. წასვლისას მან კიდევ დააყურადა მძინარე ლიადეს—ხომ არ გამოეღვიძაო. მაგრამ სწორედ ამ დაყურადების დროს ლიადეს ინსტიქტურად გამოეღვიძა და დაიჭირა ბოროტმოქმედი, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა ველარ შეძლო თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა“.

ასეთი იყო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ წაკითხული საბრალდებულო დასკვნის მთავარი საფუძველი.

ბრალდებულის დამცველმა ვეჭილმა, როცა მას სიტყვა მიეცა, მელოტ თავზე ხელი გადაისვა, სათვალეებიდან გადახვდა სასამართლოს და დაიწყო:

—პატივცემულო მოსამართლენო! მე



— აი, ადამიანი, კეთილი და პატიოსანი

მგონია, რომ გამოძიების დასკვნაში მოკუმული ბრალდების კვალიფიკაცია, არ არის სწორი. ამიტომ ბრალდებებს უნდა შეეცვალოს კვალიფიკაცია და მას ქურდობის მაგიერ ეწოდოს — გაუგებრობა.

დაახ გაუგებრობა.

საქმე იმაშია, რომ მოქ. წებოშვილს არ ჰქონდა მოქ. ლიადის გაჭურდვის განზრახვა. წარმოიდგინეთ ის გარემოება, რომელიც მოხდა ეს თითქმის ბოროტმოქმედება:

მიდის ქუჩაში მოქალაქე და მან ღია ფანჯრიდან დაინახა, რომ ოთახში სძინავს საბანგადახდილ მეორე მოქალაქეს, რომელიც მოსალოდნელია გაცივდეს, და ამ ნიადაგზე კიდევ მოკვდეს. სწორედ ეს კატომოყვარეობის გრძნობა ამოქმედებდა მოქ. წებოშვილს, როცა შევიდა ღია ფანჯრიდან მოქ. ლიადის ბინაში, რომ გადახდილი საბანი გაეწორებია მძინარისათვის. მას კარები არც შეუმტვრევია და არც მორგებული გასაღებით გაუღია.

რაც შეეხება იმ გარემოებს, რომ ფეხბურთით მიიპარა მძინარესთან და დააყურადა—სძინავდა თუ არა ლიადეს, — ეს იმას ამტკიცებს, რომ მოქალაქე წებოშვილი

ზრდილობითა და მორიდებით სასეე პიროვნებაა. მას არ უნდოდა, რომ მოქ. ლიადესთვის ძილი დაეფრთხო. მაგრამ მე მაინც ეჭვი მეპარება, რომ ეს ასე ყოფილიყო. თითონ წებოშვილი ამის შესახებ არაფერს ამბობს თავის ჩვენებაში. ხოლო მომჩივანს ეძინა და მას რა ეცოდინება ამის შესახებ. სხვა კი არავინ იყო იქ, რომ ეს დაენახა. ამგვარად ეს ბრალდება საფესებით უნდა მოიხსნას.

თეთრეული განა მოპარვის მიზნით მიჰქონდა: (აკი იყო შეკრული? მას ხომ არ შეუკრავს?) პალტო და კოსტუმი ალბათ გასაწმენდად მიჰქონდა, ან და შესანახად, რომ სხვას არ მოეპარა. რა იცით, რომ მეორე დღესვე მოქ. წებოშვილი მოქ. ლიადეს არ დაუბრუნებდა ნივთებს და არ ეტყოდა: — წუხელ თქვენ ფანჯრა ღიად გქონდათ დატოვებული. მოსალოდნელი იყო თქვენი გაჭურდვა. ამიტომ მე ეს თქვენი ნივთები სახლში წავიღე და შეგინახეთ. მომავალში ნუ დასტოვებთ ფანჯრას ღიად, თორემ პატიოსან ქურდსაც კი შეაცდენს ღია ფანჯრა!

დაახ, მოსალოდნელია ეს ასე მოხდარიყო.

რაც შეეხება იმას, რომ წამოსვლისას კიდევ დააყურადა—ხომ არ გამოეღვიძაო, — ესეც ზრდილობისა და მორიდების საკითხია, რომ ძილი არ დაეფრთხო მასპინძელისათვის.

ყველა ამის შემდეგ მოქ. ლიადე ხელით შეეხო მოქ. წებოშვილს და სცემა, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. ამას მიუმატოთ მოქ. წებოშვილის სოციალური მდგომარეობა, რომ იგი არსად მუშაობს, უპროფესიოა, უპასპორტო, და თქვენს წინ დადგება ყოველ პატიოსანი მოქალაქე, რომელიც გამართლებული უნდა იქნეს და მის ნაცვლად პახუსისგებაში უნდა მიეცეს მოქ. ლიადე, რომელმაც ცილი დასწამა ქურდობაში და სცემა პატიოსან მოქალაქე წებოშვილს.

—აი, ადამიანი, კეთილი და პატიოსანი, სათნოებითა და კაცთმოყვარეობით სასეე! — ფიქრობდა ბრალდებული წებოშვილი და თავის დამცველს თვალს ვერ აშორებდა.

ჩვენთვის არ არის საინტერესო ამ საქმეზე სასამართლოს განაჩენი.


საინტერესოა აი რა შემთხვევა:

სასჯელის მოხდის შემდეგ წებოშვილი გამსახლიდან პირდაპირ „სამისამართო მაგადაში“ წავიდა, რომ გაეგო თავისი ვეჭილის მისამართი.

რამდენიმე დღის შემდეგ წებოშვილი ისევ წარსდგა სასამართლოს წინაშე, როგორც ბრალდებული ახალ ქურდობაში. ამ პროცესშიც ის ვეჭილი გამოდიოდა, რომელიც წინად წებოშვილს იცავდა, მაგრამ ახლა გამოდიოდა არა როგორც დამცველი, არამედ როგორც დაზარალებული, მომჩივანი. უნდა გენახათ მისი მჭერმეტყველება. რანი იყვნენ მასთან დემოსფენი და ციკრონი? არაფერი, რაიონის ვეჭილბაშები.

—პატივცემულო მოსამართლენო, გუშანგო საბჭოთა კანონებისა და საბჭოთა მოქალაქეთა. წარსული ცხოვრების ყოველგვარი უარყოფით მხარეს თავი მოუყრია ამ ბოროტმოქმედში. თქვენ საქმე გაქვთ არა ჩემი კოსტუმის მოპარვის გამზრახველთან, არამედ კაპიტალისტური სისტემის უკანასკნელ საშინელ ნაშთთან, რომელსაც არ ინდობს ჩვენი სოციალისტური ცხოვრება და მას ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს, სობს,

მიწასთან ასწორებს, თელავს, სრესს, ეს არის კონტრევოლუცია, შპიონაჟი, მაუნებლობა, ინტერვენცია, სახელმწიფო ქონების დაზარალება, ვინაიდან ჩვენ მთელი თავის ქონებით ვეკუთვნით ჩვენს სოციალისტურ სახელმწი-




— უნდა დაისაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომით!

ფოს, ამიტომ ბოროტმოქმედს უნდა მივუყენოთ 7 აგვისტოს კანონი. გარდა ამისა ბრალდებული სოციალურად მაგნე ელემენტია. ახალი ცხოვრების დასკვის მიზნით ბრალდებული წებოშვილი უნდა დაისაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომით! — დაამთავრა თავისი სიტყვა მომჩივანმა.

—რამდენიმე ხნის წინად ამავე დარბაზში მე გამსამართლეს ასეთსავე საქმეზე. დღევანდელი დაზარალებული მაშინ ჩემს დამცველად გამოდიოდა სასამართლოს წინაშე და აბრამის ბატყნად მნათლავდა, წმინდანად გამოეყავდი. რა მოხდა ამას შემდეგ? გამოვედი გამსახლიდან და უკეთესი ტანსაცმელის შეძენის მიზნით მივედი პატივცემულ ვეჭილთან.

სახლში არ დამხვდა. მისდა დაუკითხავად მისი ხალათი და შარვალი წამოვიღე. კარებში შემხვდა და დამაპატიმრა. მე სრული დარწმუნებული ვიყავი მის უაღრესად გულკეთილობაში და მეგონა ხელსაც არ მახლებდა. ახლა კი აქ კორიანტელს აყენებს და უსაშინელეს არსებად მნათლავს. წინად თუ სოციალურად მისაღები ვიყავ, განა გამსახლში ვაგნდი თავადი და აზნაური? თავის ნახმარ ხალათსა და შარვალს სახელმწიფო ქონებად აცხადებს და 7 აგვისტოს კანონს მიფარდებს. დარწმუნებული ვარ, ფული რომ მივსცე, თავისთავს წინააღმდეგ გამოვა, დამიცავს და მოითხოვს ჩემს გამართლებას... ასეთი ხალხის ვერაფერი გამიგია! — დაამთავრა თავისი სიტყვა ბრალდებულმა, რომლის ლაპარაკის დროს მომჩივანი, ვეჭილი, ოფლიან მელოტ თავს ცხვირსახოცით იწმენდა.

ი. ხინვალი,



უდარდელად ცხოვრობდა თავის მრევლში ღვდელი პატრიკი. შესაფერისად ატარებდა თავის ცხოვრებას. და აი ეფისკოპოსისაგან მან განკარგულება მიიღო, რათა უმუშევართა კრებაზე მას წაეკითხა ლექცია წიგნის სარგებლიანობის შესახებ. ეპისკოპოსის განკარგულება უნდა იქნეს შესრულებული — ეს არის ხმა ღვთისა. გადაწყვიტა პატრიკმა და მოხსენებისათვის მზადებას შეუდგა. მაგრამ სადიშოვოს მასალები, რა უთხრას უმუშევრებს? და გაახსენდა, რომ ეფისკოპოსი მასალებისათვის გაზეთ „ტაიმსს“ მიუთითებდა. „ტაიმსი“ ხელში აიღო, რამდენიმე ადგილი მოხაზა, ლექციის პატარა გეგმა შეადგინა და დანიშნულ კრებაზე გაემართა. კრებაზე ტევაც არ იყო მამა პატრიკი დამსწრეებს გაელაქუსა და მღვდელური ცბიერებით დაიწყო: ძვირფასო შვილებო და ძმებო, თქვენ ყველა უმუშევრები ხართ. თქვენი მთავარი საქმიანობა ეს ხომ უსაქმობაა. ეს უკანასკნელი კი ბადებს სევდას, ალბად თქვენ ყველა დასევდიანებული ხართ. აქედან ჩემი პირველი ჭეშმარიტება: (მიდის დაფასთან და სწერს): უსაქმობა ბადებს სევდას.

— შენ კი მამაო, მოგეცა ჩვენთვის სამუშაო და სევდაც გაქრებოდა — მოისმა დამსწრეებიდან.

ნუ აღვლდებით შვილებო, ასეთ „რეპლიკას“ მე თქვენგან მოველოდი. განა არ ვიცი თქვენს შორის ისეთი გულშტრევილონიც არიან, რომელნიც სამუშაოს შოვნაზე ფიქრობენ თქვენი ასეთი განწყობილება პრესაშია? კი გაიპარა, აი რას სწერს გაზ. „ტაიმსი“ უმუშევრობის უმრავლესობა სერიოზულად ეძებს სამუშაოს. პატრიკმა თვალეზი მოკუსა და განაგრძო — ეს რა კეთილსინდისიერებაა, რასაკვირველია თქვენ თითონ კარგად იცით, რომ ჩვენს დროში სამუშაოს ძებნა ეს ფუჭი ოცნებაა. ეს უკანასკნელი ბადებს დიდ ცოდვებს. აქედან მეორე ჭეშმარიტება (მიდის დაფასთან და სწერს): „უსაქმობა“ დედაა ყოველგვარი ცოდვებისა. და ამ ცოდვების თავიდან ასაცილებლად ჩვენ გადავწყვიტეთ გიშოვოთ თქვენ... ოჰ სამუშაო კი არა, არამედ ნამდვილი ღირსეული საქმიანობა. უნდა იკითხოთ შვილებო წიგნები, მაგრამ რასაკვირველია არა ყოველგვარი წიგნები აბა ეს რა სასარგებლოა. წიგნების ამორჩევა უნდა, აი რას სწერს ამის შესახებ „ტაიმსი“:

„წიგნების კითხვა, უმუშევრების ეს იძულებით გართობა საჭიროებს მეტ ხელმძღვანელობას“ გაიგონეთ რას სწერს „ტაიმსი“ საჭიროა მეტი ხელმძღვანელობა, ვინ მოსთვლის რა სარგებლობის მოტანა შეუძლია წიგნების კითხვას: წიგნის კითხვით გართულებს მოგიხდებათ დიდხინით ჯდომა, ეს კი ფეხსაცმელების ეკონომიაა. ჭამაც ცოტა მოგიხდებათ და რაც მთავარია არ იყილებთ შრომის ბირჟაზე, ქარხნებისა და წარმოების კარებზე და მაგნე აზრებიც თავში არ ჩავიჯდებით.

რაო უადგილობის გამო ბევრი ვერ კითხულობს. ჩვენ ამის შესახებ ვლებულობთ ზომებს აი „ტაიმსში“ წერია: ლივერპულში ჩატარეს მეტად შესანიშნავი ცდა. სამკითხველო გააღეს მთელი დღე 12 1/2 საათის განმავ-

ლობაში... მაგრამ რა ცოტაა ერთი სამკითხველო 2 1/2 მილიონ უმუშევარზე? როგორ? წიგნებიც ცოტაა? — ამის მალამოც ვიცი მოვაწყობთ შეწირულებას. შევქმნით წიგნთა სპეც. ფონდებს ამის შესახებ აი რას სწერს გაზ. — „ტაიმსი“ მოწოდების ერთ-ერთი პუნქტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შემოწირული წიგნები უნდა ვარგოდეს საკითხავად მაგრამ.. ზოგიერთებმა, შემოწირულთა მიმღებმა ისარგებლა ამ შემთხვევით და თაროები გასწმინდა „უჩებნიკებისა“ და ძველი კალენდრებისაგან... ო, უკაცრავად მე თქვენ ამას არ გიკითხავთ. ეს არ დაუწერია „ტაიმსი“ — ჩაიბუტბუტა მღვდელმა თავისთვის. — აი, აი დაუგდეთ ყური „ასეთ გზით ათიათასი წიგნია

უკვე განაწილებული. გეთაყვათ არ იფიქროთ, რომ წიგნები შეგიძლიათ მიითვისოთ ან გაყიდოთ. იკითხეთ წიგნები ჩემი დარბაზის მიხედვით. ნუ დაკარგავთ დროს უსარგებლოდ გახსოვდეთ, რომ მარტო პურით არ ცხოვრობს ადამიანი (მიდის დაფასთან წერს) ჭეშმარიტება მესამე: „არა მარტო პურით ცოცხლობს ადამიანი“.


აუღიბორიაში ჩოჩქოლი ატყდა. გაისმა ხმა: წაშალე შენი სამი ჭეშმარიტება და დაწერე მეოთხე: „ბულბულს იგავ არაკებით არ კვებავენ“. პატრიკი შეკრთა, ენა დაემა „ინსტიტუტურად დაფასთან მიდის (დაბალი ხმით იმეორებს) და წერს: „ბულბულს იგავ არაკებით არ კვებავენ“. იმ... იმ... ამ „რეპლიკისათვის“ მე არ მოვმზადებულვარ და „ტაიმსშიც“ ამის შესახებ არაფერი სწერია.

ზოგი ფოსტალიონის — საქმე მეთად იოლი

ნახ. ისაგვის



— ამ წერილებს შარა-გზაზე მიმოვანევ და თითონ ნახვენ თავიანთ წერილებს, ანდა მეზობელი მიუტანს!




1.—ჩვენი ქარხანა დამკვრელია, უკვე თვე თავდება და გვგმა კი შესრულებული არაა! არიქა, დავცხოთ ბიჭებო.



4.—ჩვენი ქარხანა დამკვრელია, უკვე თვე თავდება და გვგმა კი შესრულებული არაა! არიქა, დავცხოთ ბიჭებო.



2. დახცხეს....



5. დახცხეს....



3.—აწი რაღა გვიჭირს, წახული თვის გვგმა შესრულებულია, ამ თვის დამლევამდი კი ჯერ კიდევ საკმაო დროა.



6.—აწი რაღა გვიჭირს, წახული თვის გვგმა შესრულებულია, ამ თვის დამლევამდი კი ჯერ კიდევ საკმაო დროა.

(გაგრძელება იხილე თავიდან)



—როგორც ჩანს, ამ ნეგრს დიდი შადა აქვს, ნერწყვი მოხდის საკმლის დანახვაზე!
—ძალიან დიდი. ეს არის ერთადერთი სიპიღრე და ქონება, რომლებიც თქვენის წყალობით ძალიან დიდი გვაქვს!

უცნაური შესახებ კაცია სიპიტო ცერაძე მალალი, აწოწვილი. ატარებს წვერ ულვაშებს. წვერი სახეზე მახვილკუთხიანი სამკუთხედივით აქვს მიდგმული.

უცნაურად იგრესს ულვაშებს. ხელს დინჯად და საამურად გააყოლებს ულვაშს გაწვიპინებულ წვერს, მანამდის არ მოეშვება, სანამ ის ერთი ღერიც არ გაუსხლტება ცერსა, და საჩვენებელ თითს შორის, რომელიც ყველაზე გრძელია.

იგი თავს ირთობს ძველის მოგონებით, აშვილთან უბრალო რამეზე ატეხილ კამათით რომელიც უმეტეს წილად ჩხუბის სახეს ღებულობს...

ერთხელ შვილმა ჩამოუგდო საუბარი: — ამ სოფელში ასე ტყულაუბრალოდ სიარულს, ქალაქში წავალ, ეგებ საქმე ვიშოვო სიპიტომ ხელი წვერზე ჩამოისვა.

— შენ ქე ხუმრობ და...
იპოლიტემ მამის ხმაში თანხმობა შეამჩნია და ამიტომ სიტყვაში შეეკრა:

— არა კაცო რა დროს ხუმრობაა.
— ვერ მომატყუებ, ქე ხუმრობ მარა...
— კაი კაცო ნუ იცი ასეთი დაჟინება! — ცოტა გაჯავრებით მიმართა იპოლიტემ.

— ბიჭო, ენა დაიმოკლე შენ, ჰო, მომდექი ამ მოხუცებულ კაცს და მლანძღე ისე რავარც მოგეხასიათოს, — სიპიტომ კისერი წამოიგრძელა და მუქარით დონინჯი შემოიყარა.

— ა, კიდევ იტყვი რომ ძველი არ ვარ? — იპოლიტემ კიდევ უფრო გაახელა.

— შე საწყალო შენ, რომ ახალი ხარ რა გინახავს, თვარა მე ქე რა მიჭირს... ძველი დრო იყო ქე ვიყავი ასე, — ცერი სმენაზე დააყენა. — ახლა.. ახლა თუმცა... თუმცა... ჰო, ჰო, გესმის? — და სმენაზე დაყენებული ცერი ნელა-ნელა დაუშვა ძირს... კი მარა რა უნდა გააკეთო ქალაქში?

— რას გავაკეთებ! ჩავალ, მივიხედ-მოვიხედავ, ვისწავლი.

— ჰო, ცდა ბედის მონახევრეა, სცადე, ენახოთ!..


იპოლიტე გამოეწყო. თავი აღარ დაუზოგია რომ რიგიანი ტანი სამოსი ჩაეცვა. საღურში ძმა-ბიჭებმა ვააცილეს. ისე გამოემშვიდობნენ თითქოს თავისდღეში ვეღარ შეხედებოდნენ იპოლიტეს.

დაიძრა მატარებელი... უკან გაჰყვა ცხვირსახოცების ფრიალი.. და...

ერთი თვის შემდეგ წერილი მიიღო მამამ-შვილისაგან.

„ძვირფასო მშობლებო დედავ და მამა! როგორ ხართ, ერთი თვეა წამოველ და აფერი მომიწერავს. ძალიან ბოდიში, იზვინიუს-მარა ქე ჩემი ბრალი არაა. ძალიან ბევრ საქმეში ვარ გართული მარა აფერია. სხვა თქვენ რაფერ ხართ. ხო, მე ძალიან კარკათ ვართოთახი ვიშოვე და უმალღესში შეველი საინჟინეროზე.

გწერთ თქვენი იპოლიტე



საგზოს თავს-რამე: — ვინ იტყვის ჩემზე, რომ მეცხოველეობას უურადლებას არ აქცევს? სამკითხველოც კი ამათვის დამითმია!

სიპიტომ, წაიკითხა თუ არა წერილი მედიდურათ გადაისვა ხელი სამკუთხოვან წვერზე და წამოიძახა:

— დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. აპა რა ეგონათ ჩვენს მტრებს, კოლხოში რომ არ შაველ ვერ ვიცხოვრებდი თუ?.. გადამიდგენ ახლა წინ, ჩემი შვილი ინჯილერი, მაგათ ქე მწყყესონ გოჭებო.

და ელვის სისწრაფით მოედო მთელ სოფელს:

— დედა, ბეჩა! ასე უცბად რაფერ გახდა ინჯილერი?!

— ასე უცბად კი არა აქვე სწავლობდა და ემზადებოდა თურმე.

— რალა უჭირს აწი სიპიტოს, ქე იცხოვრებს გვარინად...
— გაიგეთ ქა?
— რაი?
— სიპიტოს ვაჟი ზაგრანიცაში გაუგზავნიათ სტავლის გასაგრძელებლად.

— ა, ტყულია რა უნდა ზაგრანიცაში? ქალაქ თბილისში მისთანა ინჯინერი არ იშოვება თურმე, ძალიან დიდი ნიჭი გამოუჩენია საწყალო ბაღანას!

სიპიტო ერთი თვე ემზადებოდა ტფილისში გასამგზავრებლად. ჩიხა ახალუხი, ჩექმა და ჩაბალახი, ყველა ცალკულაქე მოსაძებნი ჰქონდა. ბევრი იფიქრა და ბოლოს ძველების გამოძებნას მიყო ხელი. ჯერ ძველი ჩექმები მოძებნა, იმდენი აცოდვილა, რომ ფეხზე ჩასაცმელად მოავგარა. მერე ფანჯარაზე აფარებული ჩიხა ჩამოიღო, რომელიც თითქოს მინების მაგივრობას წვედა ქარს იფარავდა. იგი ცოლს დააკერინა, გაცვეთილი სახელოები ხელ-ახალა შემოუქეცა, თუმცა დამოკლდა, მაგრამ მაინც ჩიხა იყო. გამოიტანა სიძეობის დროს შეძენილი ქამარი, რომელსაც მრავლად ეკიდა თითის სიგრძე ვერცხლის წვეტები, თხის ქონი წაუსვა დასალბობად და შემოირტყა.

გამოეწყო სიპიტო ცერაძე, ქამარი რომ შემოირტყა, მერე უცებ გაიფიქრა: ახლა ხომ ხანჯალიც დამშვენდებაო და ვეება გრძელი ანჯალი დაიკიდა. პატარა სარკეში ჩაიჭვრი-

— რას ნიშნავს კაცი რომ ნაცხოვრები იქნები, — ჩილაპარაკა სიპიტომ თამამად და ულვაშები გაისწორა.

— ბიჭს არაფერს წაუღებ? — შეეკითხა ცოლი.

სიპიტომ გაიხედ-გამოიხედა.

— ორჩარქიანი ხელადა რომ გვაქ, ე, იმ ერთ ღვინოს რო ვიშოვიდეთ ზეტი არაფერი მინდა.

დედაკაცმა მთელი მეზობლები ჩამოიარა, ბევრმა უარით გამოისტუმრა, მაგრამ ის ერთი ხელადა ღვინო მაინც იშოვა. საცობად კოპიტის ნოშო გაუკეთა.

სიპიტო მატარებელში რომ შევიდა ყველას აკვირვებდა მისი ჩაცმულობა, რომელიც ძველ-მანებისაგან შესდგებოდა. მაგრამ თვითონ არაფერს იმჩნევდა, თავი სერიოზულად ეკავა. ჩამობნელდა.

ერთი დასაწოლი ადგილი სიპიტომაც მონახა. ტფილისამდის გვერდიც არ უბრუნებია. მატარებელი დიდუბეს, რომ გასცდა, გამოფხიზლდა, მაგრამ თვალეები ჯერ კიდევ არ ჰქონდა გახელილი რომ ვილაცამ მიაჭრა წელზე ქამარი და წასაღებად ეწვოდა. სიპიტო უცებ გამოერკვა, დაავლო ხელი ქამარს და ჩექმიანი ფეხი ცხვირში ამოჰკრა. ცხვირიდან სისხლი გადმოვიდა თქრიალით. კაცმა ზეზე რომ წამოიწია მან ცხვირზე აიფარა ხელი და კარებისაკენ გაიქცა. სიპიტომ წამოავლო ხელი თავის ხელადას და უკან დაედევნა. მისდევდა თვალეების ფშვნეტი. ის იყო კიბესთან მივიდა, რომ ხელი წაატანა, მაგრამ მაშინვე გაუშვა.

— შენ... შენ ვინ ხარ ბიჭო?! — იძახდა სიპიტო და ხუთი წუთის განმავლობაში თვალეებს იფშვნეტდა, თავს არ უჯერებდა, ეგონა სიხმარში იყო.

მის წინ, ქამრის მომპარავი შვილი იპოლიტე — „ინჯილერი“ იღვა...



—...შე მის წინაშე დამნაშავე ვარ... რამენი ცრემლი ღვარა ჩემმა მარგომ? განა უნდა აწამო საყვარელი ადამიანი? თვალი დაუღვეს ხელმოკლეობას. რა დიდი აწივი უნდოდა მარგოს თან წამოყვანას მოსოფში? განა ცოტა ხალხი მოდის მივლინებში და განა ცოტა შემთხვევაა, რომ ცოცხალი თან მოჰყავთ?!

მწარედ განიცდიდა ერმალო თავის დანაშაულს საყვარელი ცოლის წინაშე, რომელიც თვალებიდან დაბალუპით გადმოსკდა რემლები, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, მ ერმალოს ის ველარ მიჰყავს მოსკოვში. ერმალო დარეგტიანებული დადიოდა მოსოფის ქუჩებზე და მუდამ თვალწინ ედგა მარგოს ცრემლიანი მოსიყვარულე სახე. ჰგონდა თავის გულში ცნობილ დადგენილებს სამივლინებო თანხის ზუსტად განსაზღვრისა და მოსკოვში მივლინებისათვის სპეციალური ვიზის აუცილებლობის შესახებ. მობდა რადგან ამ დადგენილებამ გადაწყვეტი როლი ითამაშა მარგოს აცრემლებაში. —მაგრამ მე მას კარგ რამეს ვუყვიდი, იქნებ მაპატიოს დანაშაული, —თქვა ერმალომ შეუხვია ერთ-ერთ მალაზიში.

ერმალომ მშვენივრად იცოდა, რომ ქალის ღლი ძალზე სათუთია. სულ პატარა რამ ახარებს, მოინადირებს მას, მაგრამ ისევე ჭარბა, ერთი ციკქნა-რამ საკმარისია, რომ გული ტიკივით გაიბეროს. მაგრამ მან იცოდა დაუშვა ერთი საბედისწერო შეცდომა, საც ახლაც ნანობს.

მოჭირის ექსპრესი მოსკოვიდან. ექსპრესს უსწრობს ერმალოს ფიქრები მარგოზე. —როგორი სახით შეხვდება იგი ერმალოს. ცხადია უკმაყოფილო სახით. ცხადია, მისი იაღა თვალები მრისხანებით იქნება აღსაყ... არა, იქნებ გადაუვიდა ბრახი... იო ზოლმე თავის ბეჭედს ასვამს მწუხარებას და სიხარულსაც... გაახარებს თუ არა ეს საჩუქარი. —შემოხვევს თუ არა კისერო თავის სათუთ მკლავებს? ვაი თუ, ვაი თუ?!

ერმალოს აღარ მოუთმინა გულმა, ჩამოიო ჩემოდანი, გახსნა და ერთხელ კიდეც აშტერდა მარგოსათვის ნაყიდ საჩუქარს, იყო ქოშები, რაღაც იშვიათი ოსტატის ღლით გაკეთებული, მოქარგული ვარაყიანი რმებით, ცისარტყელასავით სხვადასხვა ზად მოვლავარი.

მატარებელმა მოაკვილა ტფილისს. ერმაოს გული აუტოკდა ბავშური სიხარულით. იღებდა ერმალოს სახლის კარი და ერმალოს ღლს გააქვს ბაგა-ბუვი. —ჩემო სიცოცხლე, ჩემო სულო და გული! მომკლა უშენობამ. არასოდეს შენოდ ფეხს არსად გაედგამ. —გულაჩუყელმა ერმალომ მოუაღერა მარგოს.

მარგო გაქვავებული იდგა, თითქოს ეს ცხოველი სიტყვები მას არ ეხებოდა. მაგრამ, როცა ერმალომ ცალი ხელით ჩემოდანიდან ქოშები ამოაძრო, მარგოს თვალები გაუბრწყინდა და ეს გაქვავებული მუცეცხლად და ალაღ იქცა. იგი სუროსანი შემოეხვია ერმალოს და დიდხანს გალსკივით ეკიდა კისერზე. შემდეგ თვალის დახამხამებაში ფეხები უცა ქოშებში და პატარა გოგონასავით იწყო კუნტრუში. შეჭალარაებული თავი მ ჩვეულებისამებრ წაკრული ჰქონოდა აბმუშის შალით, მართლაც პატარა გოგონა ღნებოდათ.

მთელი დამე მარგოს არ დაუძინია იმაზე ფიქრით, რომ ხვალ მისი მეზობლები ალაპარაკდებიან მარგოს ქოშებზე.

—ჩემი მოფიქრებული, ჩემი ჰკვიანი ბიჭი! რას ვერჩი, რას ვებუტები, რას ვეჯიჯდინები. მწუ —და მაგრამ უბლზე აკოცა უკვე მძინარე ერმალოს!

გათენდა მეორე დღეს. „Спасио сердце, Что ты умеешь так любить“. ისმის ოთახში, აივანზე, სამხარეულოში. მარგო ახალი ქოშებით დატყნულეებს წამდაუწყამ აივანზე და სტკება მით, რომ მისი მომდურავი მეზობელი ანგელინა ასე შურია-ნი თვალებით უტკერის მას ფეხებზე.

—მოსკოვში, ბატონო დიას! ნუხეუმი უყიღია ჩემს ქმარს. ეს ერთად-ერთი წყვილია მთელს საბჭოთა კავშირში... —მართლაც იშვიათი რამ არის! —დაუდასტურა მეზობელმა ფედოსიამ,

—ბევრი კი მიუცია... კიდევაც ვუსაყვედურე ჩემს ქმარს, მარა ხომ იცით მისი ხასიათი? —რაღაცას ისეთს უცნაურს გამოიანახავს ჩემთვის საჩუქრად, რომ არავის ჰქონოდეს, არავის ეცვას. ინტერესიანი კაცია... ძვირი მიჯდება მისი ეს ხასიათი, მარა ახლა ხასიათს ხომ ვერ გამოუცვლი —ჩემს ქმარს —აუმაღლა ხმას მომდურავ მეზობლის

ანგელინას გასაგონად, რომელოსც შეეძლო მისი მოქონდა იშვიათი ჩაცმულობით.

ამ ამბავში, რომ არის მარგო, მოულოდნელად აივანზე ასეთივე ქოშებით გამოპაკუნდა ერმალოს და, —მარგოს მულო-გულნარა. მარგოს სუნთქვა შეეკუმშა, ჭარხალივით გაწითლდა, ელვის სისწრაფით შევარდა ოთახში, წაიძრო ქოშები. —ეს ერთიც შენ! ეს მეორეც შენ! შე კაცის გლობავ, შენ ლობიოვ, შენ უშნოვ! გაეთრიე აქედან გაათრიე შენი მაიმუნი და, შენი ჯოჯო გულნარა აქედან! ჩემი ქოშებისთანა თუ არ ჩააცვი იმ დაუბანელ ფეხზე —ნაკლებად ხელს არ მისცემს არა?

როდესაც ერმალოს ქოშების შემდეგ რკინის საფერფლეც მოხვდა თავში. მაშინ მიხვდა რა საბედისწერო შეცდომა დაუშვა მით, რომ ერთნაირი ქოშები უყიდა როგორც ცოლს, ისე თავის დას გულნარას.

—Счастье было так близко, так возможно... — გაიმეორა თავის გულში ერმალომ და მოქნულ სკამს თავი აარიდა.

და ამ ქოშებით გამოწვეულმა სიძულვილმა ის ნაყოფი გამოიღო, რომ ცოლ-ქმარი გაიყარნენ და ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაემტერა მთელი ორი საგვარეულო.

სეზვირ-ბენ-შიხ.



ბანი — ქართული ალფავიტის მეორე ასო. ბანი პოეტების და მთელ რიგ პასუხმგებელ ამხანაგების საყვარელი ასოა, რადგან მითი იწყება სიტყვა, —

ბანკეტი — საიდუმლო ხუმრობა ანუ პურმარლით შექცევა რამდენიმე ათეულ და ზოგჯერ ასეულ პირის მიერ სახელმწიფო საზოგადოებრივ. ან კოოპერატიულ ორგანიზაციის ხარჯზედ. ზოგიერთების განმარტებით ბანკეტი წარმოსდგა სიტყვის ბანკო-მანკო-სავან! რაც ჩვენებურად „მასვი-მაჭამებს“ ნიშნავს.

ბანკეტი ანუ „ბანკო-მანკო“ ჩვენში უხსოვარ დროიდანვე ყოფილა გავრცელებული. ბანკეტის გემო, რომ ჩვენ წინაპრებს შეთვისებული ქონიით ამას მოგვავონებს ერთი ცნობილი აფორიზმიც.

„სმა ჭამა დიდად შესარგი დება (შენახვა) რა სავარგულია? ბანკეტი ან ქეიფი ძველ დროში სხვადა-

სხვა მიზნით და მიზეზით იმართებოდა (მაგ. დაბადება, ქორწილი, ომში გამარჯვება და სხვა) ჩვენს დროში კი ბანკეტი ხშირად უმიზნოთაც იმართება; ასეთ შემთხვევაში მობანკეტებს მუქთი პურმარლი მიანიც გამართლებულად მიიჩნიათ და საფეე მევიდას შემომსხდარნი კმაყოფილად ღიღინებენ:

„სმა ჭამა დიდად სარგოა, დება რა სავარგულია? რასაც ჩაყლაპავ, — შენია, რაც არა დაკარგულია“.

ბარამეტრი. — ერთგვარი ხელსაწყო ატმოსფერის წნევის სიდიდის გამოსარკვევად და საერთოდ ამინდის წინასწარ გასათვალისწინებლად. მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის ამიერ-კავკასიის ამინდის ბიუროს მუშაობაში, რომელიც ასეთ „წინასწარ“ განმარტებებს იძლევა:

„გუშინწინ ვზიანი დღე იყო, გუშინ წვიმა, ხვალ ან დარი იქნება და ან ავდარი“.

ახალი აღმოჩენა

დღემდე ყველასათვის ცნობილი იყო, რომ საქონელს ატყავებდნენ დაკვლას შემდეგ. მაგრამ თურქებმა შესაძლებელი ყოფილა საქონლის დაუკლავდაც ვატყავება. აი რას წერს ამის შესახებ „შალაურელი“ თელავის რაიონის გაზეთში, (ნახე „კოლმეურნის ხმა“ № 80):

„ხოფ. შალაურის მშრომელ მოხალღეთ-ბას დიდ ზარალს აყენებენ „ტურა-ჭურღე-ბი“, რომლებიც იპარავენ საუკეთესო ვაშლ-ვევ ძალას და ხოცავენ“.

ცხადია, რაჯი ტურღებნი საქონელს იპარა-ვენ და ხოცავენ, ისინი არც დახოცილი სა-ქონლის ვატყავებთს მოფრიდებთან, მაგრამ, აი, ქვევით ვნახოთ:

„ხოხოს ძმა დათამ თავისივე გვარის შვილსა და სენას დათა ზამუკაშვილს 26 აგვისტოს ღამე მოჰპარა კამეჩი და ტყავი შემოაძრო, მაგრამ ვაუშაძარმა როდი იკ-პარა ერთი კამეჩის ტყავი? მან იმავე ღამეს შალაურის კოლმეურნეობის წევრს მოჰპარა კამეჩი და იმასაც ტყავი შემოაძრო“.

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს ტყავი შემოღებრივ ცოცხალი კამეჩისთვის, რამ-დენიმე ხნის შემდეგ ალბათ ისევ ამოუვათ ტყავგამძვრალ კამეჩებს ახალი ტყავი. შემ-დეგ ისევ ვატყავებენ, ისევ ახალი ტყავი ამოვა და ასე შემდეგ. (ცხერებს თუ რამ-დენჯერმე კრეჭენ, რატომ არ შეიძლება კა-მეჩის რამდენჯერმე ვატყავება? კამეჩი ხომ უფრო გამძლე და ამტანი საქონელია, ვიდ-რე მშვიდი ცხვარი?). გაზრდილი მოთხოვ-ნელობის გამო ჩვენ განვიციდით ტყავის ნაკ-ლებობას, რასაც ამერიიდან დაეძლეეთ ამ ახალი აღმოჩენით. მაგრამ სანამ ჩვენ ამას ვიხამდეთ, საქირო კი იყო „ტყავი გაგვეძრო“ ავტორისათვის და აგრეთვე რედაქციის იმ მუშაკისათვის, რომელმაც ეს მასალა წაიკო-თხა, არ გაასწორა და გაუშვა.

მოლა მასრადინა ჰიათურის მაღა-როებში.

მოლას ჯორი ჰყავდა. გაუჭირვა ჯორმა საქმე: ყოველდღე საკვები უნდოდა, თივა ან ქერი. გადაწყვიტა მოლამ, ჯორი საქმელ-ზე გადაეჩვია, რომ მისთვის აღარ ყოფილი-ყო საჭირო საკვებზე ზრუნვა. დააბა ჯორი და აღარ აძლევდა საჭმელს. რამდენიმე ხნის შემდეგ ჯორი ისე გახდა, რომ ფეხზე ვე-ღარ დგებოდა. მოლას შეეცოდა, თანაც შეე-შინდა — არ მოკვდესო, და ერთი მუჭა თი-ვა მიუგდო. მაგრამ ჯორი უჭმელობისგან ისე დასუსტებულიყო, რომ ვერ შეძლო თი-ვის ჭამა და გარდაიცვალა.

— ეჰხ! ეს ოხერი მაშინ მოკვდა, როცა საჭმელს უჭვე გადაერჩია! — თქვა მოლამ, როცა ჯორი მკვდარი ნახა.

სწორედ ასევე ხდება ჰიათურის მაღა-როებში (ორჯონიკიძის სხ. მაღირო), სა-დაც 24 ცხენი იმყოფება მოლას ჯორის მდგომარეობაში. ჯერ ისინი კოდევ ცოცხ-ლობენ, მაგრამ თუ ახლავე არ მიუჭია ყუ-რადღება, ისინიც მოლას ჯორის გზას გაუყ-ვებიან და, მართლაც, ისე გადაეჩვიან საჭ-მელს, რომ აღარ დასჭირდებთ კვება.

სი — ლი.

სრულებითაც არ მივირს, რომ ახირებუ-ლი ჩვეულებები მაქვს. ასე ჩვევით ჩემსავით დიდ პიროვნებებს. მაგალითად:

1. კომპოზიტორი გაიდინი ვათენებამდე დგებოდა. იგი ჩაიკეტებოდა თავის ოთახში. ჩაიკვამდა საზეიმო ტანსაცმელს, ჩამოიკი-დებდა ხმალს, გადაიცვამდა შუბას და შეუღ-გებოდა მუშაობას. მხოლოდ ასეთ გარემო-ებაში შეეძლო მას მუსიკალური ნაწარმო-ების შექმნა.

შეც ასე მჭირს. ლექსის წერა შემიძლია მხოლოდ საცვლებს ამარა, მაგრამ პერანგ-ზე აუცილებლად უნდა მქონდეს ვაკრახმა-ლებული საყვლო და გაუთოებული ვალს-ტუჯი.

2. კომპოზიტორი ღონიციტი ოპერის წე-რის დროს იმდენ ყავას სვამდა, რამდენსაც ოცი კაცი ვერ დალევდა.

ასეთივე ჩვეულება მაქვს შეც. საწერ მაგი-დაზე თუ არ მიდგას რამდენიმე ლიტრა ღვინო, ისე არაფერი გამოდის.

3. მაგრამ ყველაზე უფრო ჩემთან ახლოს დგას კომპოზიტორი როხინი. იგი ჩემსავით ზარმაცი იყო, დაწვებოდა ლოგინში და ესე თხზავდა ოპერის არიებს.

ერთხელ ერთი ოპერის არიას ამთავრებ-ამ დროს მას გაუფარდა ქალღი და დ-გინიდან იატაკზე ისე მოშორებით დავარ-რომ ვერ მისწვდა ლოგინიდან ქალღ-აღვომა დაიხარა და ხელახლა დაიწყო არ-წერა, მაგრამ წინანდელი ვერ მოიგონა ახალი დაწერა. ამიტომ ერთი ოპერაში აქვს ორი სხვა და სხვა არია. მომღერია რომელიც მოეწონება, იმას მღერის ოპერა-აი, რა სიმდიდრე შექმნა სიზარმაცემ. ყოფილიყო როსინი ზარმაცი, იგი არ წერდა ორ არიას.

ამ სამი დიდი პიროვნების ჩვეულება ჩ-ში არის მოცემული. მე მათ ვბაძევ.


მივუჯდები მაგიდას გაიდინის შუბის გიერ პერანგის ამარა. დავიდგამ ღონიცი-ყავის მაგიერ ღვინოს ლიტრებს. დაეწვე-ლოგინში როსინივით და.. და ჩამეძინება დენი ღვინის სმის შემდეგ. ამიტომაც ჯ-ჯერობით არაფერი დამიწერია, მაგრამ მაგრამ დიდად ახირებული კაცი, ჩანს, დი-პიროვნება ვარ. ალბათ მომავალში დავამ-კიცებ ჩემს გენიალობას.

ზმუკი.

გეოგრაფიის გაკვეთილზე

ნახ. დონის

ზოგიერთ სკოლებში სასწავლო ნივთებს არ უყვლიან.



მოწაფე: — მასწავლებელიო, ბერლინი ვერ ვიპოვე რუქაზე. მასწავლებელი: — მო, ბერლინი... თავებს შეუჭამია.



საკონკურსო გამოცდებზე ერთერთ უმაღლეს სკოლას ბურჯბელი ახალგაზრდობა მიაწყდა.

— ძნელად კითხულობენ... ბევრი იქნება!.. — და შეწითლებულ „შუბლიდან ხელს“ ხოცით ოფლს იწმენდდენ.

— პროტექცია თუ არ გყავს, მარტო ცოდნა ვერას გიშველის! — ამბობდა ერთი.

— აბა! აბა! აქაც პროტექცია, და ნაცნობობა ყოფილა: ქართულ ენაში გამოცდას ვაბარებდი და როცა შემატყო, რომ ზოგიერთ კითხვებზე პასუხის გაცემა გამიჭირდა, მასწავლებელმა პირდაპირ ასეთი კითხვა დამისვა: — „ლუკა რაზიკაშვილს ხომ არ იცნობო“.

— „არ იცნობ-თქვა“ ვუთხარი და ნაშინვე ორი დამიწერა. დავიღუპე კაცი. რაიონიდან მაინც არ ვიყო ჩამოსული. ახლა უნდა გადავებრუნო მთელი ტფილისი: იქნება მოგნახო ვინმე ჩვენებური, რომელიც იმ რაზიკაშვილს იცნობს. შევებგეწეები იმ რაზიკაშვილს, იქნება მიმეგზავნოს იმ გამოცდელთან და ჩემი ნიშანი გადასწორებინოს.

— ასე ადვილად არ მოგეგზავნება! — შენიშნა ერთმა.

— დავბირდები ერთ ინდურს! ფუთ ღვინოს მივტან!

— სად, საიქიოში?! — შენიშნა ამხანაგმა.

— ნეტავი შენ, რომ ხუმრობის გუნებაზე ხარ!

— ხუმრობის გუნებაზე მაყენებ და კიდევ ვიქნები! რაზიკაშვილი ხომ გვარია განთქმულ პოეტის — გაჯა ფშაველასი, რომელსაც თითქოს ორი ათეული წელი უსრულდება, რაც გარდაიცვალა! — შენიშნა ისევ ამხანაგმა, მაგრამ „უმიზეზოდ ჩაჭრილს“ მისი შენიშვნისათვის აღარ მოუცდია, იგი უკვე აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა მის სოფელ „დიდ კაცის“ ბინისაკენ, დარწმუნებული იმაში, რომ „დიდი კაცი“ მონახავდა მის დამღუპველ ლუკა რაზიკაშვილს, მიგზავნიდა მას, გამოცდელთან და ნიშანს გადასწორებინებდა.

სიმი.



უპისნირა: — მიშველეთ დამიფარეთ ჩემი „მფარველებისაგან“!

გ ა კ ვ რ ი თ

დღეები ავ ზაფხულის რჩებიან უკან გარაკეს ახსენდება ოჯახის კერა.

ან ამ ზაფხულზე აგარაკზე რა რიგ ცხელოდა

ცოლი დაბრუნდა შავგრემანი, — გავგზავნე ქერა.

ნი ტფილისი გამოცვლილია, ასე უეცრად სვა იერი მისცა ქალაქს ახალმა ხილმა.

შალაზიები: „გასტრონომი“ და „ბაკალეა“, უნივერსალი, რომლიდანაც ძნელია ყიდვა...

მკავშირის ხეივანი სეიდ-აბაღზე...

ქობს გზის პირზე გაუვლიათ მხურვა ლე უთო.

ქრიან გამზირზე ვაგონები ბიუჯეტებით, ავტობუსები უპატრონო და უმარშრუტო.

ქალაქის საბჭო სოფევეანქის სასაფლაოზე ახალი ბაღის გაშენებას თურმე აპირობს..

ტაქსი ვერასდროს ვერ ვიხილე თავისუფალი რომ მით გულდაღმა გავუჭროლო გზას სანაპიროს.

საუცხოოა მოედანი ფედერაციის აქ, ამ სივრცეზე გაკინდება თუგინდა რაში;

კულტურისა და დახვეწების ორი გვაქვს. პარკი

დამის დავიხრჩიე უშაეროთ მე ურთი მა

თგანში.



გამჭრისი



ს გამჭრიახ კაცად მოჰქონდა თავი. ხომ არ არის: ჯერ კიდევ ოცდა-ის ახალგაზრდა მერაბი უკვე ერთ-ბარბოების პროფრწმუნებულად ით-და ასე თუ ისე, ნიჭიერ და აქტი-უქად თვლიდენ.

ელს, უბრალო საკითხზედაც კი, დღეობით ფიქრობდა იგი, ასწონ-დას-მდგომარეობას შეუგუებდა და ასე, ბნის მსჯელობის შემდეგ გადასწყვე-გორმე.

აი, როცა 22 წელიწადს ორი კვირა-დღე გადასცდა, მოუსვენარმა ფიქ-აილეს მერაბი:

ბარბო ჩელიწადი! ჰასაკი, რომელ-ა გადასწყვიტოს ოჯახის პრობლემა. რში გამჭრიახობაა საჭირო. ამ ჰა-კაცი გადასცილდება, ძნელია შემ-ჯახება: შიში შეიპყრობს, გამოც-ლისაგან მაქვს გავიწილი.

მერაბიმ, იფიქრა. ოცნების მთები-დნენ მის წინ. შეეჯახა, დაანგრია და-ენიერ დღეს სამიჯნურო ხელოსანო-ალო მის წარმოების თანამშრომელ-ინას.

ო: უძილო ღამეები, დაუსრულებელი-მომავალი ოჯახის შესახებ, სამიჯ-წერილების წერა. თანამშრომლებს-ალოკო საქმე გაუჩნდათ: იმსჯელებს,-ენ საქმეში და ერთ დღეს სახელდა-წერილი გაჩაღდა მერაბის სახლში.

და ოჯახი: ქოთნებით ვედროებით,

ქვაგებით, ჭიქებით, თევზებით, მონიკელე-ბულ საწოლით, ნაცნობ-მეგობრებით და მათ შორის: მერაბისვე წარმოების საწყობის გამ-გით—გიგათი.

—ძნელია ოჯახის გაძლოლა, გამჭრიახობაა საჭირო, დაკვირვება უნდა ყველაფერს!— ფიქრობდა მერაბი, დიდხანს ფიქრობდა. იფიქრა და ერთ დილას სატრფოს მიადგა:

—ექვეში არ ჩამომართვა გოგო. გამჭრიახი კაცი ვარ: რაღაცა არ მესიამოვნება, რომ გიგა ყოველდღე ჩვენს სახლში დადის.

—მაინც რის თქმა გინდოდა?

—არ მესიამოვნება—მეთქი, ვერ მიმიხვდი? შესაძლებელია გადაგიბიროს და ოჯახი დამინგრეოს.

—სცდები ჩემო მერაბი; განა შესაძლებე-ლია შენ თავი დავანებო და ფიზიკურად მახინჯს, კოჭლ გივას ვაყვე?

—ჰმ!—კოჭლი!—ჩაიციხა მერაბიმ—განა კოჭლი არ იყო ბაირონი, რომ რვა წლისა, ათი-წლის ცქრილა გოგონას—მერი დედს გაუ-მიჯნურდა?! შენ არც კი ვაგვიგონია მგონი ბაირონი, შოთა იცი? ჩახრუხადე? ბარათა-შვილი? ილია?.. იმათ დროინდელი მწერა-ლია.

—კი, მაგრამ რა შესადარისია გიგა ჩემთან. ის ხომ ჩემზე ნახევარი მეტრით დაბალია!

—დაბალი... რა სასაცილო თქმაა! განა არ კმარა: დატრიალდეს, საწყობიდან ცოტა რამ გაქაფოს, ერთი ძვირფასი პალტო გიყი-დოს, რომ სრულიად დაივიწყო მისი სიდაბ-ლე. რატომ მატყულებ? იმდენი გამჭრია-

ნობა კი მაქვს, ასე ბღვილად არ შევცდე.

—ფუქსავატ ექვემს გაუტაცინიარ, ჩემო მერაბ. გივას ხომ ცოლი ჰყავს, ექვესი წლის შვილი, განა წარმოსადგენია, რომ მას ვაგვე და შენ თავი დავანებო?!

—სუსტი ნების ყოფისა ხართ ქალები: საკმარისია ერთი კარგი ლექსი დაგიწეროს, რომ სრულიად შეიცვალოს ეს ფიქრები. იმ დღეს ისეთი სამიჯნურო ლექსი წამიკითხა, ისე მომეწონა, ორ ქალად რომ ვეცუულიყა-ვი, ორივე ცოლად ვაგვევებოდი.

—სცდები მერაბ, შენ როგორ გიღალატებ! ცოლად გამოგყვე, ოჯახი შევქმენით, შეგი-უღლდი, ვალად ავიღე, რომ შენთან ერთად ვწიო ცხოვრების უღელი და, ახლა თავს დავანებებ?!


—ვალად აიღე. რა ფუქსავატი ფილოსო-ფოსი ხარ! განა ჩვენი მეზობლის ცოლს, ნი-ნას ვალად არ ჰქონდა აღებული, რომ ქმარ-



ხულიგანი ღირეპტორი

ნელის ქარხნის ღირეპტორი, ყოფილი შოფერი მ. აბრამოვი სოფ. შროშაში, გლე-მედიდეს ავტოთი გაეკიდა გასასრესათ იმის გამო, რომ უკანასკნელმა სამუშაო ხელ-ოთხოვა.

ნახ. დონის



თან ერთად ეწია უღელი? რატომ უღალა-ტა თვრამეტი წლის მეგობარს? რატომ დაა-რღვია თვრამეტი წლის ოჯახი?!

ასე უმტკიცებდა მერაბი მის სატრფოს, რომ საწყობის გამგე გიგა, მათი მეგობარი, ყოველდღიური სტუმარი მათი ოჯახისა, კარგი კაცი იყო და შეიძლებოდა თინას შე-ეყვარებინა.

აევისო თინას მოთმინების ფილა, თუმცა გამჭრიახობის პრეტენზია არ ჰქონდა, მაგ-რამ მაინც იფიქრა. დიდხანს იფიქრა და ერთ ღრუბლიან დღეს, ასეთი შინაარსის წერილი დაახვედრა მაგიდაზე მერაბის:

„მერაბი!

აქამდე ვერ მივხვდი: შენ მართლა გამ-ჭრიახი კაცი ჰყოფილხარ! კარგახანა ვიფიქ-რე: დავრწმუნდი, რომ მართლა კარგი კაცი ყოფილა გიგა; რომ მართლა შეიძლება მისი შეყვარება. გადავწყვიტე და ცოლად მივყე-ვი, არ იღარდო!

თინა

მერაბიმ ნერვიულად გადაიკითხა წერილი და თავისათვის ჩაილაპარაკა.

—დასწყველოს ეშმაკმა, რა არის გამჭრია-ხი კაცი. სამი თვის წინადვე ვიფიქრე, რომ შეიძლებოდა ასე მომხდარიყო.

გ. ივანიშვილი.

რუსული იუმორი




კარიკატურები ამოღებულია შურ. „კროკოდელი“-დან

ზოგრაფი სისტემა.



— მე სანატორიუმში 15 ექიმმა გამსინჯა.
 — ნუ თუ ასე ხერიოზულად გაციებდა?
 — არა, ერთ თვეში 15 ექიმს ვამოიცვალა.

აკრძალული ჩვევათი.



ბერლინელი ექიმი: — იქონიეთ მზე-ღველობაში, რომ ავადმყოფმა ძალიან უნდა იმუშაოს და დაიცვას სასტიკი დიეტა.
 — ეს ადვილია, ექიმო: იგი უკვე მეორე თვეა რაც შიმშილობს როგორც უმუშაოდ.

კრძალური საფრთხე.



— სკოლის ექსკურსია მოდის. დავშალოთ ვუდები, თორემ ბავშვები მოგვაწყვეტენ.

ფაზისტური ბერმანის თეატრი.



— სცენაზე დიდი წარმატებით ვასრულებდი უმუშევრის როლს. მაგრამ ცხოვრებაში ვერასგზით ვერ შევვარა!

კამლები მესამე იმპერიაში.



— ეს მსახიობი დღეს რატომ ისე გრძობით თამაშობს ჰამლეტს?
 — იმიტომ, რომ აი ამ საათში დირექტორის კაბინეტში წყდება თეატრის ყოფნა არა ყოფნის საკითხი.



ერთ დღეს პიონერმა მიშამ და მისმა ბებ-
მ თინათინმა ოცდაექვსი კომუნარების
ბაღში გაიარეს. ოთხმოცი წლის ბებიკო
ლალა და სკამზე ჩამოჯდა.

ასთან ვიღაც თუთიყუშიანი ქალი — ამო-
ს მივიდა და მიმართა: — ლატარია, ბებია,
ფასიანია, ჩემი თუთიყუში ბედ-იღბალს
იგებს.

დაინტერესდა ბებია თინათინი ამ ამბავმა,
აინადა ფული და თუთიყუშმა ოთხმოცი
ის დედაბერს შემდეგი შინაარსიანი „ბედ-
ლის წერილი“ ამოუძრო ყუთიდან:

„№ 7 პლანეტა იუპიტერი.“

ქვენ მორჩილი ხართ მაგრამ თქვენს
ჩილობას გარეგნობით არ აფასებს რაიც
ქვენს თავმოყვარეობა შეურაცყოფს.

ქვენ სცდებით ამ აზრში ვითომ არ გაფა-
დებ. არიან ამისთანა არსებიანი რომელ-
თვალთმაქცობა არ შეუძლიანთ საზა-
როთ სულით და გულით პატივსა გცემენ.
ასებენ კიდევ მეტი რა გინდათ. ერიდეთ
არ თვალთმაქცობებს და გამარჯვება
ენია ლატარიაში აირჩია №6,2,3,5,
ენ იცოცხლებთ 58 წელს.“

კითხები ძვირფასო თუთიყუშო, რა ენა-
დაწერილი ეს „ბედ-იღბლის წერილი“,
ა როდის შეახტებით ტრამეის შენ და
პატრონი, რომ მილიციამ ყურადღება
აქციოთ?

ზია.

წერილი მეგობრს

ამარჯობა ვანო.

იდი ვაივავლახით მეღირსა ნატვრის
სულედა და გავხდი მუშკომის თავმჯდო-
დ. (საჭილაოს სახერხ ჭარხანაში).

ითონ შენ ვასაჯე: ამ თანამდებობის
მეკადრებოდა ფეხით სიარული? არა,
ამ ვინ მომცემდა მეტს, და მცვ შემდეგ
მივმართე:

ითქოს ექიმის საჭიროებისათვის შევი-
ეტლი, რომელშიც მივეცი 1.500 მანე-
სად მქონდა ეს ფული? ჰმ! სოცდაზღვე-
თანხებიდან დავადერე. ეტლის ყიდვის
ეგ გამოირკვა, რომ ეტლს ცხენები ესა-
ებოდა. (ამა მე ხომ არ გავებმოდი შიგ?)
ი სოცდაზღვევის ფონდმა მიღალატა.
ი არ აღმოჩნდა.

გრამ მოვიწვიე მუშათა საერთო კრება
სე მოვაჯახრავე საქმე, რომ დაფუქვითე
დღის ხელფასი ცხენების შესაძენად.

ბენების შეძენის შემდეგ საკითხი წა-
რა მეეტლეს დაჭირავებისა და საკვების
ის შესახებ.

დმერთმა უშველოს აჭაურ მუშებს. თი-
მათვანს ამ ხარჯების დასაფარავად
ერე თვიურად 60 კაბ. მათთვის არაფე-
60 კაბ. მე კი უეტლოდ ფეხსაც არ ვიც-

ბირფარეშოშიაც ეტლით დავდივარ და-
ხზირად. ამას წინად, როცა იქითენ
ილი შემეკითხენ:

— საქმე ვაქვს, როდის დაბრუნდებით,
თავ-რე?

— მალე დავბრუნდები. ავერ მივდივარ
ფარეშოში.

თი სიტყვით ჯერჯერობით საქმე კარ-
მაქვს. თუ კოვზი არ ჩამივარდა ნაცარ-
ენი ჭანტურია.

S. ნიანგაორის ცნობით ჭანტურის
გზი, უკვე ჩაეარდნია ნაცარში.

3ა — 3ა.


— ფული? ფული ბილეთ, მხოლოდ ნუ
შეგვარცხვენ. სიძე რომ ურმით მივიდეს,
სირცხვილია არა მარტო ჩვენთვის, არამედ
მთელი ასკანისათვის. პურმარილში ყელამდე
ჩავფლავთ. ვურული კრიმინალოგი დაემა-
ხით და სახელოვნად ჩავატაროთ ქორწილი!
ცოტა ყოყმანის შემდეგ კოლმეურნეობის
თავმჯდომარე ჩავლევ შვილი შეუთანხმდა
თემსაბჭოს თავმჯდომარე ნაცვალაძეს და
ვასცეს განკარგულება მანქანის ქორწილში
გასაგზავნად.

ავი მანქანა საწველ ფურად გეხება ჩავლევ
შვილმა და ნაცვალაძემ. ჩვენ სრულიად არ
გვარგია. ტყვილა ვადეხადეთ შიგ 2000 ტყვ
თი სოია.

— შერე-და დევიყვიროთ, რომ მანქანა
ჩვენია, ჩვენ შევიძინეთ, ჩვენი ოფლით მოყ-
ვანილი სოია მივეცი თიგ.

გამოჩნდა მანქანა.

— ბიჭო ეე, რაეა პატარძალივით გამოყ-
ყობილა, ასე უნდა წიგვიყვანოს ქალაქში?



შეწანე ფოთლებში მორთულ ავტოში
ჩაბრძანდა სიძე, მაყრიონი, კოლმეურნეობის
თავმჯდომარე ჩავლევ შვილი და თემსაბჭოს
თავმჯდომარე ნაცვალაძე.

— გამარჯობა ივანე! საით აბირებ?

— ილღვრძელე, ჩემო პეტრე, ქალაქ მა-
ხარაძეში მიხდა წევიდე და მანქანას ველო-
დები!

— ბეჩა, სად დეიკარგა ამდენხანს აი ავ-
ტონი?

— რა ეჩქარება! იზაყუსკებენ, დათვრე-
ბიან და შერე საბიფათოც კია შიგ ჩავდომა.

— მართალი ხარ, მართალი ელისაბედ,

მალაღეც ნაცვალაძე და ჩავლევ შვილო,
კოლმეურნეობის პატივის-ცემა ამას ქვია!
მომხადებულ კოლმეურნეებს ჩაუქროლა
მანქანამ და შოფერმა ანდლულაძემ ვადმოს-
ძახა:

— ნუ მელოდებით, მე სუფსას მივდივარ
ქორწილში, ორსამ დღეში ვერ დავბრუნ-
დები!

— ეხა! წავიდეთ ფეხით. აკი ვითხარი,
რომ მანქანა ნაცვალაძის, ჩავლევ შვილისა
და ანდლულაძის საკუთრებას შეიცავს-თქო!
კოლმეურნეები ფეხით გაუდგნენ გზას
ქ. მახარაძესაკენ.

მიხლინსკი

შეკითხვა ნიანგს

დიდუბეში ფოთის ქუჩა № 35 შედისართ
ეზოში და მოგესმით ქალის საშინელი ტირი-
ლი და მუღარა:

— მეყოფა ამდენი ცემა, მოგვედი, მეტი
აღარ შემძლია...

შეწუხებული მეზობლები თფლს იწურა-
ვენ და ჩუმად ოხრავენ...

— ნეტა ამ ეზოში არ გვატხოვრა, მოგვე-
დით ამ უბედურის ტირილით...

— რატომ არ ჩაერევი?

— ოჯახური საქმეა, ქმარი მარკოზოვი
გარსუა ცოლს მარგალიტას სცემს...

ისმის კითხვა: აქვს თუ არა უფლება
ცოლს, რომელიც ქმრის პასპორტით ცხოვ-
რობს, თუ გინდ ქმარი ფულსაც არ აძლევ-
დეს საკვებად და ნახევარჯერ შიმშილობდეს.

უარი თქვას ცემაზე და ასტეხოს აურზაური?
აქვს თუ არა უფლება მეზობლებს, როცა
ძალიან გაუჭირდებათ, (ქმარი დანით უბი-
რებს მოკვლას ცოლს) ჩაერიონ ოჯახურ საქ-
მეებში, წაიყვანონ ქმარი მილიციაში, თუმი-
ცა წინასწარ იციან, რომ შესამე უბნის მილი-
ცია ზომებს არ მიიღებს გარსუა მარკოზოვის
წინააღმდეგ და კერძო ოჯახურ საქმეში არ
ჩაერევა.


შედისარ კრასნოგორის ქ. № 27 და ხე-
დავ სონია მარკოზოვას, რომელიც იგივე
გარსუა მარკოზოვას, რომელიც კანონიე-
რი ცოლი, ვატარებული „მმაში“ და ცხოვ-
რობს მარკოზოვის პასპორტით.

შედის თუ არა სტალინის რაიონის პრო-
კურორის მოვალეობაში მისცეს პასუხისგე-
ბაში გარსუა მარკოზოვი? თუ შედის, რატო
არ იღებს ზომებს, როცა ეს ამბავი მისთვის
კარვად არის ცნობილი!

დაბოლოს ერთი კითხვა კიდევ: შეიძება
თუ არა საბჭოთა კანონები, სავალდებულოა
თუ არა ჩვენი თანამედროვე მორალი გარსუა
მარკოზოვისათვის, თუ ეს უკანასკნელი არც
მუშაა, არც მოსამსახურე, არც კოლმეურნე,
თუ თავს ირჩენს საიდუმლოდ პირუტყვის
დაკვლით და კონტრბანდოდ ხორცის გაყიდ-
ვით, თუ საეკულიანტია, მაგრამ მილიცია
პასპორტზე უარს არ ეუბნება და პასუხისგე-
ბაში არ აძლევს, პირიქით პასპორტს აძლევს
ორ ცოლზე ორი მისამართით.

როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

შ.რ. ბათოშელი.



ნახ. უმირლინის.

გიორგი ნინუამ ქსამტრეთის სოფელ ხე
მიწის შეძენის მუხნით — ვიქტირება — კმე
აზობაძე, რომლისაგანაც მიიღო 2.600
ეს ამბავი იცის საბჭ. თავრემ, მაგრამ ხ
აფარებს.

ნახ. ღოგ



გამყიდველი:—რატომ ტირით, გოგონა? დედოფალამ შეგაშინა?
დედა:— პირიქით, დედოფალა უნდა, მაგრამ ფასებმა შეაშინეს.

მამობილი:—თუ არ მომეცი ორიო
ექვსასი მანეთი, ნაკლებად არ გიშვილებს.

აქხანუო ნიანუო!

ამხ. ნიანგო!

გორა-ჯიხაიშის (ხონის რაიონი) არა სრულ
საშუალო სკოლის მოწაფე ქალებმა ახალი
ლოზუნგი შემოიღეს: „ზურგი სკოლისაკენ!“
ამ უცნაური ლოზუნგის ფუძემდებელი და
მასულდგმულელებელი არის ამავე სკოლის მას-
წავლებელი ბესარიონ გოგავა. ამ საკითხზე
მეტს არას ვამბობ, რადგან უფრო ვრცელ
განმარტებას ხონის რაიონის განათლების
განყოფილება მოგაწოდებთ.

ივ. ი—ქმ.

ტემაში მოსაყვანად“ და მოხმარების დროს
საქმე (დავთრები) ისე გააქაბრაკა, რომ დედა
მის 30 წლის შრომა დღის ნაწილი ნორმის
ზევით მიადებია. ასე „მოყავს სისტემაში“
იულის კოლმეურნეობის ანგარიშწარმოება.
თქვენ მაინც მიიღეთ ზომები ამ ნიანგო
თვით იულია პეტრიაშვილის „სისტემაში
მოსაყვანად“.

კ.—ლდ

სოფ. სხვავა.

აფერ ოთხი თვე გადის, რაც ჩვენს კოოპსავ
როში, კამფეტების გარდა, თითქმის არაფერ
მოაქვთ და მისი მესვეურნი მხოლოდ და
რებით და კომერციული კამფეტებით გვე
ბავენ. გეკითხებით ამხ. ნიანგო, თუ ჩვენ
ვაჭროს ხელმძღვანელს ბავშვებათ მივარ
ვართ, მაშინ რად არ მოაქვთ ჩვენთვის
მერციულ კამფეტებთან ერთად სხვადას
საბავშვო სათამაშოები, როგორც არის მა
ლითად: ბურთი, ხის ცხენი, საბავშვო პა
ფონი, ტიკინები, ან დედოფლები, საპიბი
ბზრიალა და სხვ. ან იქნებ გამანაწილებლ
გამგეს, ჩვენ მივარჩივართ ისეთ ბავშვებ
რომლებსაც კამფეტის მეტი, არაფერი
ტერესებს, გაგვიმარტე ამხ. ნიანგო!

აკ. ნ—აკ.


ამხ. ნიანგო!

სოფელ შუასხვაიის (ამბროლაურის რაიონი)
მასწავლებელი ქალი იულია პეტრიაშვი-
ლი ჩვენი კოლმეურნეობის ბუხვალტერს ჯა-
ფარიძეს დაეხმარა ანგარიშ წარმოების „სის-


ამხ. ნიანგო!

მე ვარ კალინინის სახელობის ქარხნის მუ-
შა. ჩვენს ქარხანას ტფილისში, პლენანოვის
გამზირზე აქვს დახურული განმანაწილებელი

„სოფ. ენისელის (ყვარლის რაიონი) ტექნიკუმის ეზოში მოთავსებული ხმაძალია მოლაპარაკე რადიომიმღები დიდი ხანია რაც აღარ მუშაობს. რეპროდუქტორში ფრინველებმა ბუდე გაიკეთეს.“



— ასეთი მშვენიერი, ამდენი ორგინალური რითმების ავტორი ვარ, და მწერალთა კავშირში მაინც არ მღებულობენ.



— უი, ქა! გვატყუილებდენ: რადიოში არავინ არ ზისო!

„თვითფარების“ სასადილო კოფორაში

ნახ. გ. ლომიძის

ისევე


პარიზში ყველაზე უფრო სამწუხაროა ის მოვლენა, რომ იქ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ბალ-მასკარადზე ჩასაცმელ ფეხსაცმელებს.

(„ნ. უხ-ქრონიკინი“)

მართალია მოდამ ქალებს კაბა დაუგძელა, მაგრამ ფეხი დაივიწყა, ფეხებს უნდა შველა. ასეთი აქვს სჩანს, ლოზუნგი ფეხსაცმელების მკერავს. რომლის გული დანაგული კრიზისს დაუსერავს.

ადამიანის ფიზიკურად დასჯა საუკეთესო საშუალებაა მოქალაქეზე სულიერი და ფიზიკური ზეგავლენის მოსაზღვნად. („სანდვი დესპერი“ ინგლისი)

აი აზრის უებარი, სხივ მომფენი, როგორც მთვარე არიელი, ბრძენის კეუის კოლოფიდან მომდინარე.



ბუზი:—წავიდეთ, მაგიდაზე დავსდეთ, ახალი ამბავი მაქვს შენთვის სათქმელი!
მაბუზი:—რას ამბობ! ახალი ნაბანევი ვარ, დავისვრები!

გოდორი

დათუნიას (ხაშური): — თქვენი „საცოლეს ძებნა“-ში ბევრი ვეძებთ ჰუმორი, მაგ გრამ ვერ აღმოვაჩინეთ.

მუზას (ხონი). გვწერთ, რომ ბანკის მოლარე დ. მებუკე:

შეკრულ ფულეებს ჩუმაღ აძრობსო თითოს ნელა. უკმაყოფილო არის ამიტომ აქო ყველა.

მოსალოდნელია ეს ასეც იყოს, მაგრამ:

მარტო თქმა როდი კმარა, საჭირო არის ფაქტი და მომხდარ ფაქტზე, ძმაო, შეეყენებული აქტი.

დამწყვდვს (აქვე): — რომდენიც არ უნდა შეაქოთ ნიანგი, თქვენს ანკესზე მაინც არ წამოვეგებით და ვერ დავებუდავთ თქვენს „პოემას“, რომელიც ასე იწყება:


მდელოს სიმწვანე მოგპარე, სინაზე ტურფა იასა შენ გენაცვალე, ნიანგო, მაგ შენს გულმკერდში ღიასა.

ლექსის პირველი ორი სტრიქონი მოპარულია პოეტი ვარლამ რუხაძის ლექსიდან. მართალია ვარლამმა მოჰპარა მდელოს სიმწვანე, იას სინაზე, — მაგრამ ნუ გგონიათ რომ ქურდის „ქურდის ქურდი არ იყოს. დამწყვდები ყოფილობით და ძალიან ცუდ საქმეს იწყებთ. ნიანგისაგან ასეთ საქმეში ვერასოდეს ვერ მიიღებთ „წახალისებას“

პ/მგებელი რედაქტორი—ს. ეული.

რედაქციის მისამართი: ტფილისი ჯორჯიაშვილის ქ. № 5. ტელ. 3-58-21.

ქურნალი დაბეჭდილია სახელგამის ლიტოგრაფიასა და „ტექნიკა და შრომა“-ს სტამბაში. კლიშეები დამზადებულია „კომუნისტი“-ს ცინკოგრაფიაში. შეგვ. № 1382. მთავლ. რწმ. № 7203. ტირაჟი 20000.



— გადიდებთ შენ, თაყვანს გცემთ შენ, რამეთუ შენა გამოჩენაზე გამოჩნდება უმბტა ჭენი და

მადეუტანს უფრანაღ-გარჯობა და ამათ-ქრანდებს.